# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 13 დეკემბერი 2001 №238 (1511) | ფასი 50 თეთრი


# დინამო ჩვენი ცხოვრებაა. სამწუხაროდ



## პოლიტიკური ტრანსფერები სატრანსფერო პოლიტიკის ნაცვლად

## იაგორაშვილი VS ნოდია

## ჩვენ კიდევ შევხვდებით

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



# ბედნიერება თითებზე ითვლება



## მსოფლიოს ჩემპიონმა მუხრან ვახტანგაძემ მუშტი შეკრა

ინტერვიუ მუხრან ვახტანგაძესთან იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე

## გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXI ტური**

ფორტუნა 0:2 დრეზდენი

**თასის მეთექვსმეტედფინალი**

ოსნაბრიუკი 0:2 ბაიერნი

**თასის მერვედფინალი**

აინტრახტი 1:2დ.დ. (1:1) ჰერტა
იურდინგენი 1:1დ.დ. (პენ.3:5, 1:1) კიოლნი
დარმშტადტი 0:1დ.დ. (0:0) შალკე

## ინგლისი

**პრემიერლიგა გადადებული მატჩები**

ლივერპული 0:0 ფულემი
მანჩესტერი 5:0 დერბი ქაუნთი

**I დივიზიონი გადადებული მატჩი**

ვესტ ბრომვიჩი 1:0 ქოვენთრი

**ასოციაციის თასის II ეტაპი. გადათამაშება**

სტოკი 3:0 ჰალიფაქსი

**ლიგის თასი. მეოთხედფინალი**

ჩელსი 1:0 ნიუკასლი

## შოტლანდია

**პრემიერლიგა გადადებული მატჩი**

რეინჯერსი 1:1 ჰიბერნიანი

## იტალია

**თასის მერვედფინალი საპასუხო მატჩი**

იუვენტუსი 5:2 სამპდორია (2:1)

**თასის მეოთხედფინალი. I მატჩი**

რომა 0:1 ბრეშა

## ბელგია

**თასის მერვედფინალი**

ლიერსი 2:0 აალსტი
მუსკრონი 4:1 მოლენბეკი
ლუვიე 2:1 ტუბეკე
ლოკერენი 1:0 ოდ-ევერლე
ტურნუა 2:3 ბევერენი
ბეერსხოტი — სენტ ტრუიდენი
15 დეკემბერს გაიმართება

## ესპანეთი

**თასის მერვედფინალი I მატჩები**

ბადახოსი 1:3 ვალიადოლიდი
სიუდადი 0:0 რაიო ვალეკანო
კორდოვა 2:1 მალიორკა
ფიგერესი 2:1 ნოველდა
ხიმნასტიკი 1:0 რეალი
სალამანკა 2:2 ბილბაო
სპორტინგი 2:4 ვილიარეალი

## პორტუგალია

**II ლიგა. გადადებული მატჩი**

ფელგეირაში 1:1 ოვარენსე

**თასის მეთექვსმეტედფინალი**

ვილა რეალი 2:1 ბეირა მარი
ეშტარეია 0:0დ.დ. (0:0) ტაიპასი
მორეირენსე 1:2დ.დ. (1:1) ლეიშოესი
გიმარაეში 2:2დ.დ. (1:1) ბრაგა
ლულეტანუ 3:1 სინტრენსე
პომბალი 1:2 პორტიმონენსე
ნავალი 2:3დ.დ. (2:2) სალგეირუში
პორტუ 2:1დ.დ. (1:1) სანტა კლარა
სეტუბალი 1:2 ფეირეირა
სპორტინგი 4:1 ფარენსე
ბოავიშტა 0:1 ალვერკა
ბენფიკა 1:1დ.დ. (0:0) მარიტიმუ

## თურქეთი

**თასის მერვედფინალი**

ტრაბზონი 3:0 სამსუნი
გაზიანთეპი 2:0 რიზე
ბეშიქთაში 4:0 იოზგათი
ერზერუმი 2:2დ.დ. (პენ.5:3, 2:2) გიოზთეფე
დარდანელი 0:2 ისთანბული
ადანა 2:1დ.დ. (1:1) ანკარაგიუჯიუ
ქოჯაელი — გენჩლერბირლიგი
დღეს გაიმართება

## ჰოლანდია

**თასის მერვედფინალი**

გრონინგენი 3:0 ზვოლე
აიაქსი (რეზერვი) 2:1დ.დ. (1:1) ტვენტე
ფეიენოორდი 2:0 დენ ბოსხი
ვალვაიკი 1:2დ.დ. (1:1) პსვ ეინდჰოვენი
აიაქსი 4:3დ.დ. (3:3) როზენდალი

# ვაუ! ფაუ?!



ლიდსის პოლიციის უბნიდან ცნობა მოვიდა — რობი ფაულერი დააკავეს.

„ლიდსში" ახლახან გადაბარგებული ლივერპულელთა ყოფილი კერპის დაჭერა დიდ ხმაურს რომ გამოიწვევს, ცხადია, თუმცა ყოვლისმცოდნე ინგლისელმა რეპორტიორებმაც ვერ დაადგინეს ფაულერის პოლიციაში მოხვედრის მიზეზი.

პოლიცია ჯერჯერობით დუმს, მხოლოდ ეს ითქვა: ლიდსელი ფეხბურთელები წვეულებაზე იყვნენ, სადაც ინციდენტი მოხდა და ორი კაცი დავაკავეთო. ამ ორიდან ერთი კი ფაულერია. მისთვის ბრალდება ჯერ არ წაუყენებიათ, მაგრამ ინგლისი საქართველო არ არის, რაც ნიშნავს, რომ საქმის დეტალები სულ მალე გახდება ცნობილი, ისევე, როგორც ბრალდების მუხლი.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

ჩელსელები ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და კარლო კუდიჩინი: კაცური გოლი, კაცური კოცნა



REUTERS

დიკ ადვოკაატის გლაზგოური ეპილოგი




REUTERS

ეფესი — ოლიმპიაკოსი. კასპარს კამბალამ (№15) სტუმარი ალექსის ამპატიდისი შეზღუდა




REUTERS

დარმშტადტი — შალკე. გელზენკირხენელებმა ებე სანდის (№11) ამ ძლივს-ძლივს გოლით შემდეგ ეტაპზე გააღწიეს



## ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 12 დეკემბერი**

**A ჯგუფი**

უნიკახა 67:68 ბენეტონი
ვლიონსკი 94:95 შარლერუა
(ძირითადი დრო 84:84)
ეფესი 79:80 ოლიმპიაკოსი

**C ჯგუფი**

რეალი 90:71 ბუდუჩნოსტი
ზადარი 97:98 კრკა
(ძირითადი დრო 87:87)

**D ჯგუფი**

ტაუ 81:58 ციბონა
აეკ 87:65 ვილერბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კუპერი ვალენსიაში ბრუნდება?



უეფას საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ჟან ფურნიე ფაიარმა უეფასთასელები კიდევ ერთხელ დააწყვილა

**განგებამ** თუ უეფას ჩინოვნიკთა ხელმა ოთხი ისეთი გუნდი დააწყვილა, რომ ფავორიტის დასახელება ძნელია.

თებერვალში საინტერესო ბევრი სხვაც გველის, მაგრამ პსვ — „ლიდსისა" და „რეინჯერს" — „ფეიენოორდის" დაპირისპირებას გამორჩეული ხიბლი უნდა ჰქონდეს.

ჰოლანდიურ კლუბებს არ გაუმართლათ. კერკრადეს „როდას" კახა კალაძის „მილანი" ერგო. ფავორიტად, ცხადია, იტალიელები ითვლებიან, თუმცა ისიც ფაქტია, რომ კარლო ანჩელოტის ბიჭებს ძნელი ორმატჩიანი დუელი ელით.

თუმცა „როდასგან" აქამდე მოღწევაც კარგი შედეგია, აი, პსვ და „ფეიენოორდი" ნახევარფინალში ერთად გასვლას ვერაფრით შეძლებენ, რაში დასარწმუნებლადაც მეოთხედფინალის წილისყრის შედეგი გამოდგება. ისიც საკითხავია, მერვედფინალში თუ იხეირებენ — როგორც თავში ვთქვით, ფავორიტთა დასახელება ძნელია. უფრო კი როტერდამელებს არ გაუმართლათ — მოგეხსენებათ, უეფას თასის ფინალი, 8 მაისს, სწორედ მათ ქალაქში, „დე კუიპზე" გაიმართება და ეგებ „ფეიენოორდის" გარეშე ჩაიაროს.

ექტორ რაულ კუპერი ახლა მილანის „ინტერს" კი წვრთნის, მაგრამ შესაძლოა მარტში ვალენსიაში, „მესტალიაზე" დაბრუნდეს. არა, კუპერი „ნერო-აძურის" დატოვებას არ აპირებს. უბრალოდ, თუ „ინტერმა" და „ვალენსიამ" მერვედფინალში, შესაბამისად, ბერძნული აეკ-ი და შვეიცარიული „სერვეტი" დაიბრიყვეს, რაც, ალბათ, არ უნდა გაუჭირდეთ, მეოთხედფინალში დიდებული სანახაობა გველის.

ფრანგული „ლილი", მოგეხსენებათ, წლევანდელი ევროთასების აღმოჩენაა. ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის შეგირდებს კიდევ ერთი მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუწევთ — სხვა თუ არაფერი, დორტმუნდის „ბორუსია" 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია და მათიას ზამერის ახლანდელი გუნდიც ჩინებულად თამაშობს... სხვათა შორის, დორტმუნდელებმა ბუნდესლიგაში თამაშების უმეტესობა სტუმრად მოიგეს. ასე რომ, „ლილი" — „დორტმუნდის" დაპირისპირებაც საინტერესო უნდა იყოს.

ხელწამოსაკრავი არც ებრაული „ჰაპოელი" და ჩეხური „ლიბერეცია". ალბათ, „პარმა" და „ლიონი" მეოთხედფინალში მაინც გაალწევენ, მაგრამ რომ ვერ „გაისეირნებენ", ფაქტია.

სხვა რა... უეფამ წილისყრა 20 წუთში დაასრულა, დიდი ვნებათაღელვა კი თებერვლიდან გაგრძელდება.

**გიორგი გუგაძიძე**



## ალექს მაკლიში

დაიბადა 1959 წლის 21 იანვარს გლაზგოში, შოტლანდია

1976: ჩაირიცხა „აბერდინში"

1980: ვილი მილერთან ერთად შექმნა გაუვალი დაცვა ალექს ფერგიუსონის გუნდში. და პირველად გახდა შოტლანდიის ჩემპიონი. მიიწვიეს შოტლანდიის ნაკრებში პორტუგალიელთა წინააღმდეგ. სულ 77-ჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა

1982: შოტლანდიის თასის ფინალში „აბერდინმა" „რეინჯერსი" 4:1 დაამარცხა. ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმის გამო ვერ ნავიდა

1983: „აბერდინმა" შოტლანდიის თასთან ერთად ევროპის თასების მფლობელთა თასიც მოიგო, ფინალში მადრიდის „რეალი" 2:1 დაამარცხა

1984: „აბერდინთან" ერთად მეორედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი

1985: „აბერდინმა" შეინარჩუნა ჩემპიონობა და ქვეყნის ლიგის თასიც მოიგო

1986: შეინარჩუნა ლიგის და მოიგო ასოციაციის თასი. მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი მატჩი ითამაშა

1989: „აბერდინმა" მოიგო ლიგის თასი

1990: გუნდთან ერთად კვლავ დაეუფლა ასოციაციის თასს, ხოლო ზაფხულში იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა

1993: აშშ-ს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, მალტასთან ნამატჩევს გამოეთხოვა ეროვნულ გუნდს

1994: „აბერდინში" დაასრულა მოთამაშის 17-წლიანი კარიერა. დაინიშნა „მოზერუელის" მწვრთნელად

1995: „მოზერუელი" შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონი გახადა

1998: შუა სეზონში მიიწვიეს ედინბურგის „ჰიბერნიანის" მწვრთნელად, მაგრამ გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნას ვერ გადაარჩინა

1999: „ჰიბერნიანთან" ერთად მოიგო ქვეყნის პირველი დივიზიონის ჩემპიონატი

2001: „ჰიბერნიანი" ასოციაციის თასის ფინალში „სელტიკთან" დამარცხდა, პრემიერლიგაში კი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა

2001: 11 დეკემბერს დაინიშნა „გლაზგო რეინჯერსის" მწვრთნელად

# უეფას თასი

UEFA CUP

## მერვედფინალი

| | |
|---|---|
| როდა (კერკრადე, ჰოლანდია) | მილანი (იტალია) |
| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) |
| გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) | ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) |
| ლილი (საფრანგეთი) | დორტმუნდი (გერმანია) |
| ვალენსია (ესპანეთი) | სერვეტი (ჟენევა, შვეიცარია) |
| ლიონი (საფრანგეთი) | ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | პარმა (იტალია) |
| ინტერი (მილანი, იტალია) | აეკ (ათენი, საბერძნეთი) |

**პირველი მატჩები გაიმართება 2002 წლის 21 თებერვალს, საპასუხოები — 28 თებერვალს**

## მეოთხედფინალი

| | |
|---|---|
| ჰაპოელი ან პარმა | როდა ან მილანი |
| ინტერი ან აეკ | ვალენსია ან სერვეტი |
| პსვ ეინდჰოვენი ან ლიდს იუნაიტედი | გლაზგო რეინჯერსი ან ფეიენოორდი |
| ლიონი ან ლიბერეცი | ლილი ან დორტმუნდი |

**პირველი მატჩები გაიმართება 2002 წლის 14 მარტს, საპასუხოები — 21 მარტს**

# სიურრეალიზმი

## ალექს მაკლიშმა ფეხბურთს ახალი ცნება მიუსადაგა

**კონტრაქტზე** ხელმოწერა ერთი იყო და ალექს მაკლიში გამოაწყვეს საგანგებოდ რეინჯერსელებისთვის შეკერილ კოსტიუმში, კისერზე კლუბის სიმბოლოებით დამშვენებული შარფი მოახვიეს და საზოგადოებას წარუდგინეს.

რეტდასხმული და აღელვებული ჩანდა ალექს მაკლიში, ის ხომ გუშინწინ „გლაზგო რეინჯერსის" მენეჯერი შეიქნა, „ჩაფართა" წინა დამრიგებელმა დიკ ადვოკაატმა კი გუშინ ერთხელაც გაიყვანა გუნდი „აიბროქსზე" და კლუბის ტექნიკურ დირექტორობას შეუდგა.

— ფანტასტიკურია! დიადი გრძნობაა, როცა „გლაზგო რეინჯერსის" მენეჯარად გამოგაცხადებენ. ეს მართლაც ფენომენალურია. ახლა მოუთმენლად ველი, თუ რას შევეჯახები ჩემი კარიერის ამ ეტაპზე. ეს ფანტასტიკური გამოწვევაა — სახელდახელოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ასეთი გახლდათ ალექს მაკლიშის პირველი სიტყვები და მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა მკრეხელობაზე მეტიც იქნებოდა. 42 წლის მაკლიში „რეინჯერსის" 128-წლიან ისტორიაში გუნდის მე-11 მენეჯერი გახდა. პროტესტანტებს ხომ მწვრთნელთა ხშირი ცვლა კათოლიკებივით ეზიზღებათ.

მაკლიშის „აიბროქსზე" მიყვანაში ერთობ დიდი წვლილი მიუძღვის თვით დიკ ადვოკაატს, რომელმაც რეკომენდაცია გაუწია ამ ახალგაზრდა მენეჯერს: „მაკლიში ჩემი არჩევანი იყო, მკაფიოდ განსაზღვრული არჩევანი. მიმაჩნია, რომ მან უკვე „ჰიბერნიანში" წარმოაჩინა თავი პერსპექტიულ ახალგაზრდა მენეჯერად, რომელსაც მწვრთნელობის ძალიან კარგი უნარი აქვს. ისიც ვიცი, რომ როცა ის სამწვრთნელო კარიერას იწყებდა და „მოზერუელს" ედგა სათავეში, არ თაკილობდა და გამოცდილ მწვრთნელებთან რჩევებისთვის დადიოდა, რათა უფრო მეტი ცოდნა მიეღო. ასე რომ, მასში ეჭვიც არ მეპარება".

— ზეწოლა აქ ძალიან დიდია. მე ხომ იძულებული ვიქნები ყველა შეხვედრაში გავიმარჯვო. ყოველივე ეს სიურრეალურია და მე გამოვნახავ დროს მასში ჩასაფლობად — ხატოვნად გადმოაფრქვია ნააზრევი ალექს მაკლიშმა.

**დავით თავართქილაძე**

# ფრედი ბობიჩი ხელფასს გაურბის

**მიმდინარე სეზონში** დორტმუნდის „ბორუსია" ბრწყინვალედ თამაშობს ბუნდესლიგაში, რაც თავდამსხმელების, მარსიო ამოროზოს, იან კოლერისა და სეზონის დაწყების მერე შეძენილი ევერტონის დამსახურებაც გახლავთ.

ამ სამეულმა აშკარად დაჩრდილა ერთ დროს უპირველესი ფორვარდი ფრედი ბობიჩი, რომელმაც სეზონში თითებზე ჩამოსათვლელი მატჩები ითამაშა. არადა, იგი ბუნდესლიგის ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელია — თვეში 325 ათასი მარკა.

ჯამაგირი ჯამაგირად, მაგრამ უთამაშებლობით გაწამებულმა თავდამსხმელმა რურის ოლქის დატოვება და კარიერის ესპანეთში გაგრძელება ამჯობინა.

გავრცელდა ცნობა, რომ ბობიჩის შეძენა „ვილიარეალს" სურს. ამის მიზეზი ისაა, რომ გუნდს ექვსი თვით ვერ დაეხმარება შარშან დიდი ზარ-ზეიმით ნაყიდი მთავარი დამრტყმელი ძალა მარტინ პალერმო, რომელიც დამტვრეულია.

ბობიჩის ტრანსფერი ორშაბათს იყო მოსალოდნელი. მაგრამ ესპანური კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რამდენიმე დეტალი ჯერ კიდევ დაგვრჩა შესათანხმებელიო.

**ზურაბ რუხაძე**



ფრედი ბობიჩს თამაში მოენატრა


**იყიდება**

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ.

აბაზანა-ტუალეტი რემონტით,

ბაზრით, ბარნოვის ქ. №71 II სად. შესასვლელი

კეკელიძის ქუჩიდანაც

**ტელ: 22-75-07. 69-52-58**





REUTERS

ტოტენჰემი — ბოლტონი. მასპინძელთა კაპიტანი ტედი შერინგემს ცდა არ დაუკლია, მაგრამ ექვს გოლში მისი ერთიც არ გამოერია

# შერცხვნენ და არც შერცხვათ

## ინგლისი

### ლიგის თასი. მეოთხედფინალი

**ბლექბერნი 4:0 არსენალი**

1:0, 2:0 იანსენი (11, 15), 3:0 მ. ჰიუზი (21), 4:0 იანსენი (68)

**ტოტენჰემი 6:0 ბოლტონი**

1:0 ს. დევისი (21), 2:0, 3:0, 4:0 ლ. ფერდინანდი (29, 30, 38), 5:0 ბერნესი (70ა.გ.), 6:0 ივერსენი (84)

**ბლექბერნელმა** მეტ იანსენმა და ტოტენჰემელმა ლეს ფერდინანდმა ჰეთ თრიქი მიითვალეს, მათ ამხანაგებმაც აუბეს მხარი და მეტოქეები — „არსენალი" და „ბოლტონი" გაანადგურეს.

ეს რომ პრემიერლიგის მატჩი ყოფილიყო, „ბლექბერნისგან" „არსენალის" ასე შერცხვენა მთელი თვე გვეყოფოდა სალაპარაკოდ. მაგრამ ეს თასის თამაში იყო, რომელსაც ბოლოლა გუნდები ნაკლები სერიოზულობით ეკიდებიან და შესაბამისად, ლონდონელთა მარცხი გასაკვირი არ არის. რაღა შორს წავიდეთ, იმ შემადგენლობიდან, რითაც „არსენალმა" წინა უქმეებზე „ასტონ ვილასთან" თითქმის წაგებული თამაში შემოაბრუნა, არსენ ვენგერმა ოდენ ორი კაცი დატოვა, დანარჩენი ცხრა კი დაასვენა.

„მოგება, ცხადია, გვსურდა — თქვა მატჩის შემდეგ ვენგერმა — მაგრამ ვერავინ დაგვძრახავს, თუ ვიტყვი, რომ უპირატესობას პრემიერლიგას ვანიჭებთ. ამიტომაც ენერგია უნდა დაგვეზოგა. ესეც რომ არა, კლუბში ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გვყავს, რომლებიც კლასს მხოლოდ ვარჯიშით ვერ აიმაღლებენ, სათასო მატჩები კი მათი შემოწმების საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია".

„ის, რომ „არსენალმა" მეორე შემადგენლობით ითამაშა, არაფერს ნიშნავს — გამარჯვებას ფასი მოუმატა მასპინძელთა თავკაცმა გრემ სუნესმა — მთავარია, რომ ძალიან კარგად ვითამაშეთ და საერთოდაც, ბლექბერნში ჩვენი დამარცხება ძალიან ძნელია".

კიდევ აღვნიშნოთ, რომ იანსენის ჰეთ თრიქს მეოთხე გოლი ვეტერანმა მარკ ჰიუზმა მიუმატა, რომელსაც აქამდე ოცდაათ შეხვედრაში არ გაეტანა. დემიენ დაფმა კი არსენალელთა ძელსაც გაარტყა ბურთი.

უარეს დღეში ჩაავდო „უაით ჰართ ლეინზე" გლენ ჰოდლის „ტოტენჰემმა" „ბოლტონი". თითქოს ხუთი გოლი არ კმაროდაო, სტუმარი ენტონი ბერნესი ჰოთსპურელებს ავტოგოლით შეეწია. აღვნიშნოთ, რომ ლეს ფერდინანდს სამი ბურთის გასატანად ცხრაწუთიანი მონაკვეთი ეყო.

**ირაკლი ნინიძე**

### პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები

**სიტი 1:0 უოლვერჰემპტონი**

1:0 ჰორლოკი (21)

**ბირმინგემი 1:0 კრისტალ პალასი**

1:0 ტ. მუნი (64პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 23 | 14 | 4 | 5 | 45:31 | 46 |
| სიტი | 23 | 13 | 3 | 7 | 52:33 | 42 |
| ვულვზი | 23 | 12 | 6 | 5 | 34:18 | 42 |
| ნორვიჩი | 23 | 12 | 3 | 8 | 31:32 | 39 |
| ვესტ ბრომვიჩი | 22 | 12 | 2 | 8 | 25:19 | 38 |
| კრისტალ პალასი | 23 | 12 | 1 | 10 | 45:34 | 37 |
| ქოვენთრი | 22 | 11 | 4 | 7 | 28:21 | 37 |
| პრესტონი | 23 | 9 | 9 | 5 | 39:30 | 36 |
| ბირმინგემი | 23 | 10 | 6 | 7 | 38:30 | 36 |
| მილუოლი | 22 | 10 | 5 | 7 | 38:28 | 35 |
| პორტსმუთი | 23 | 9 | 6 | 8 | 36:35 | 33 |
| უოტფორდი | 22 | 9 | 5 | 8 | 35:26 | 32 |
| ბრედფორდი | 23 | 9 | 5 | 9 | 43:41 | 32 |
| ნოტინგემი | 23 | 7 | 9 | 7 | 26:23 | 30 |
| ჯილინგემი | 23 | 8 | 6 | 9 | 34:32 | 30 |
| შეფილდი | 23 | 7 | 9 | 7 | 25:27 | 30 |
| უიმბლდონი | 23 | 7 | 8 | 8 | 38:37 | 29 |
| ქრიუ | 23 | 7 | 7 | 9 | 24:36 | 28 |
| როტერჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 29:37 | 25 |
| უენსდი | 23 | 5 | 8 | 10 | 25:36 | 23 |
| ბარნსლი | 23 | 5 | 6 | 12 | 30:48 | 21 |
| გრიმსბი | 23 | 5 | 6 | 12 | 22:43 | 21 |
| უოლსოლი | 23 | 5 | 5 | 13 | 24:40 | 20 |
| სტოკპორტი | 23 | 2 | 6 | 15 | 22:51 | 12 |



„ოსპიტალეტმა" მშობლიური არენა არ მიატოვა

# დეპორტივომ ხელოვნურად გაიმარჯვა

## ესპანეთი

### თასის მერვედფინალი. I მატჩი

**ოსპიტალეტი (III) — დეპორტივო ჩაიშალა**

**„მოწინააღმდეგე** გუნდის გამოუცხადებლობის გამო „დეპორტივოს" ჩაეთვალოს მოგება" — ბრძანა მატჩის არბიტრმა ედუარდო იტურალდე გონსალესმა მას შემდეგ, რაც მესამედივიზიონური „ოსპიტალეტის" გამოჩენას ზუსტად ნახევარი საათი უშედეგოდ ელოდა. ეს შეხვედრა ესპანეთის სამეფო თასისა უნდა ყოფილიყო.

გალისიური კლუბი ავტომატურად გავიდა შემდეგ ეტაპზე, ხოლო კატალონიურ „ოსპიტალეტს" დააჯარიმებენ და, ალბათ, მომდევნო სეზონში მოკვეთენ ესპანეთის თასის გათამაშებიდან.

ახლა იმაზე ვთქვათ, თუ რატომ არ გამოცხადდა მესამედივიზიონური კლუბი სათამაშოდ. საქმე ისაა, რომ „ოსპიტალეტი" საშინაო თამაშებს ბარსელონაში, ხელოვნურსაფარიან სტადიონზე ატარებს. ფედერაციამ კი დაადგინა, რომ ტრავმების თავიდან აცილების მიზნით, შეხვედრა ბალახიან „მინი ესტადაზე" უნდა გამართულიყო.

ეს არენა „ოსპიტალეტის" საწვრთნელი ბაზიდან მხოლოდ ორი კილომეტრითაა დაშორებული. „დეპორტივოც" სწორედ „მინი ესტადაზე" მივიდა და იქ ელოდა მეტოქეს. ხელოვნურ საფარზე არ ვითამაშებთო, თქვეს და აღარ გადათქვეს — აკი ფედერაციის მხარდაჭერაც ჰქონდათ.

გალისიელთა ნახევარმცველმა სერხიომ, რომელმაც კარიერა სწორედ „ოსპიტალეტში" დაიწყო, გულდაწყვეტილმა განაცხადა: „სამარცხვინოა, რომ არც ერთმა არ დავთმეთ. ორივე კლუბი თავის ინტერესებს იცავდა. ამ თამაშის ჩაშლა ყველაზე მეტად ჩემთვის იყო საწყენი".

თამაშის დღეს, დილით, ქვედალიგურმა კლუბმა თავის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ივარჯიშა, ხოლო შემდეგ მწვრთნელმა ხოსე ანტონიომ ფეხბურთელები შინ გაუშვა. მან მოგვიანებით თქვა: „როგორც სპორტსმენს, მე თამაში მსურდა, თუმც საერთო აზრი იყო, რომ პოზიცია არ დაგვეთმო. მე პატივს ვცემ კლუბის გადაწყვეტილებას, მაგრამ რომ დავფიქრდეთ, ბევრი დავკარგეთ, რადგან ამ ეტაპამდე უკვე სამი მეტოქე გვყავდა დამარცხებული".

**ნიკა შუბლაძე**

# სტუმრის დღე



დავორ შუკერის პირველმა მიუნხენურმა გოლმა საქმე პენალტებამდე მიიყვანა



REUTERS

შტუტგარტი — მიუნხენი. მარცხით გულმოკლულებმა და გაყინულებმა ადემარმა (მარცხნივ) და ბრედლი კარნელმა თავშესაფარი იპოვეს

## გერმანია

### თასის მეოთხედფინალი

**ბოხუმი (II) 2:3 ლევერკუზენი**

0:1 ბერბატოვი (26), 1:1 ფრაიერი (28), 2:1 კოლდონგი (75), 2:2, 2:3 ბერბატოვი (77, 90)

### თასის მერვედფინალი

**შტუტგარტი 2:2დდ. (2:4პენ. 1:1) მიუნხენი**

0:1 პიურკი (7), 1:1 ბალაკოვი (66პ), 2:1 კარნელი (93), 2:2 შუკერი (102)

**უნიონი (II) 1:2 ობერჰაუზენი (II)**

0:1 ლიბინსკი (41პ), 1:1 დიეჩი (85), 1:2 პაიერი (90)

**მაინცი (II) 2:3 კაიზერსლაუტერნი**

0:1 ლოკვენცი (23), 0:2, 0:3 ლინკოლნი (31, 42), 1:3 ბაბაცი (71), 2:3 ნეუფი (84პ)

**ბუნდესლიგის** ლიდერმა „ლევერკუზენმა" ბერბატოვის ჰეთ თრიქით სტუმრად ქვედალიგელი „ბოხუმი" დაამარცხა და თასის მერვედფინალში გავიდა.

თამაში დაძაბული და საინტერესო გამოდგა, რაკი ბერბატოვის გოლით დაწინაურებულ ლევერკუზენელებს „ბოხუმმა" ანგარიში მალევე გაუთანაბრა და მერე წინაც გავიდა. თუმცა ბერბატოვმა კვლავ იყოჩაღა და ბოლო წუთზე გამარჯვების გოლიც გაიტანა. საინტერესოა, რომ სტუმართა მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ადრე, 1994-99 წლებში, სწორედ „ბოხუმს" თავკაცობდა.

მერვედფინალიდან გავარდა შარშანდელი ფინალისტი ბერლინის მოყვარული „უნიონი", რომელიც თანალიგელ „ობერჰაუზენთან" დამარცხდა. ამ მატჩშიც გამარჯვების გოლი სტუმრებმა ბოლო წუთზე შეაგდეს.

ვერც ძირითადმა და ვერც დამატებითმა დრომ „შტუტგარტსა" და „მიუნხენს" შორის უკეთესი ვერ გამოავლინა. თერთმეტმეტრიანების სერიაში კი „მიუნხენელთა" მეკარე იენჩმა იყოჩაღა, რომელმაც ბრაზილიელი ადემარისა და ბორდონის დარტყმულები მოიგერია, რითაც თავისი გუნდი მეოთხედფინალში გაიყვანა. შევნიშნოთ, რომ ეს გუნდები სამიოდ დღის წინ ბუნდესლიგის ტურშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც სტუმრებმა იმარჯვეს.

„მაინცსა" და „კაიზერსლაუტერნს" შორის გამარჯვებაც სტუმრებს დარჩათ. მეორე ბუნდესლიგის ლიდერს 0:1-ზე უნგრელი მცველი ბოდოგი გაუძევეს, რამაც „მაინცის" დაცვა საბოლოოდ არია და კაიზერელ ლინკოლნს დუბლის გახერხება არ გასჭირვებია.

**ლუკა ბეჟუაშვილი**

# პარმამ ვენტურა შეიცოდა

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი. I მატჩი

**უდინეზე 1:1 პარმა**

0:1 მარკიონი (38), 1:1 დი მიკელე (73)

**„უდინეზე"** 73-ე წუთამდე აგებდა. მასპინძელთა ახალი მწვრთნელი ჯამპიერო ვენტურა სათადარიგოთა სკამზე ადგილს ვერ პოულობდა, არ სურდა, მარცხიანი დებიუტი ჰქონოდა. კიდევ კარგი, „პარმას" ბრაზილიელმა მეკარემ კლაუდიო ტაფარელმა და ფრანგმა მცველმა მარტინ ჯეტუმ ერთმანეთს ვერ გაუგეს, რითაც დავიდე დი მიკელემ იხეირა და მწვრთნელი დააწყნარა.

ცხადია, ვენტურას მოგებაც სურდა, მაგრამ იძულებული იყო, ფრით დაკმაყოფილებულიყო, მეტს „უდინეზე" არც იმსახურებდა. „პარმას" კი უნდა მოეგო, 38-ე წუთზე კუთხურის გათამაშებისას თბილისში გოლის გამტანმა, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა მარკო მარკიონიმ ბრწყინვალე თავურით უდინელთა მეკარე მორგან დე სანტისს ბურთი ცხრიანში ჩაუჭედა. დანიელ პასარელას შეგირდები მერეც ბევრს უტევდნენ, მაგრამ ხან დე სანტისი ყოჩაღობდა, ხანაც თავად პარმელები სცოდავდნენ.

ვენტურას საცოდაობა დი მიკელეს გოლიდან ცხრა წუთში უნდა გენახათ, როცა „უდინეზეს" გამოცდილი მცველი ვალერიო ბერტოტო დაიმტვრა. ბერტოტო იტალიის ნაკრებში პაოლო მალდინის კონკურენტია, ჯოვანი ტრაპატონისაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი ეიმედებოდა... ახლა ბერტოტომ ოპერაცია უნდა გაიკეთოს.

**გიორგი მაზმაძიძე**

## ჰოლანდია

### თასის მერვედფინალი

**ტელსტარი (II) 1:0 სიტარდი**

1:0 სხენკელი (14)

**უტრეხტი 4:1 ექსელსიორი (II)**

0:1 ბინასი (15), 1:1 ვან მოლი (47), 2:1 კუიტი (74), 3:1, 4:1 ტანგე (80, 90)

**როდა 0:1 ჰერენვენი**

0:1 ნურმელა (31)

## პორტუგალია

### თასის მეთექვსმეტედფინალი

სანიონენსე (II) — აკადემიკა კოიმბრა (II) 0:1; ბელენენსეში — საკავენენსე (III) 5:0; აკადემიკო ვიზეუ (II) — პენაფიელი (II) 1:0

## თურქეთი

### თასის მერვედფინალი

**ფენერბაჰჩე 1:2 დენიზლი**


# იყიდება

ერთოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა

ვაზისუბნის IV მ/რ. II კვ. მე–5 სართული

**ტელ: 75 99 49**



## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვიტა, შეწყვიტოს „ბარსელონას“ ბრაზილიელი ფეხბურთელის რივალდოს საქმის განხილვა. ამგვარად, კატალონიური კლუბის თავდამსხმელს არავითარი სადისციპლინო სასჯელი არ ელის. შეგახსენებთ, რომ ბილბაოს „ატლეტიკთან“ მატჩში რივალდომ მეტოქე ხოსე მარია ლაკრუსს ჩაარტყა. ლაკრუსი გააძევეს, რივალდომ კი გაფრთხილება მიიღო.

**გერმანული „შალკეს“ მცველ ტომაშ ჰაიტოს მარჯვენა ტერფის მყესები გაუწყდა, რის გამოც კლუბს გაურკვეველი დროით გამოაკლდა. 29 წლის პოლონელმა ტრავმა კვირას, ბერლინის „ჰერტასთან“ მატჩში მიიღო. ის მოედანს სულ მცირე, ზამთრის არდადეგებამდე ვერ დაუბრუნდება.**

ჩილეს ჩემპიონატი „სანტიაგო უონდერერსმა“ მოიგო, რამაც უმსხვერპლოდ არ ჩაიარა. საქმე ისაა, რომ გახარებულ გულშემატკივართა ზეიმისას ერთი ქომაგი დაიღუპა, ხოლო 120 დააპატიმრეს. დაღუპული 22 წლის იყო. „სანტიაგო უონდერერსმა“ კი 1958 და 1968 წლების შემდეგ მხოლოდ მესამედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა.

**გერმანული „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე მზადაა, რუდი ფიოლერს გერმანიის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაეხმაროს. „ეროვნული გუნდის კომიტეტში მუშაობაზე არასდროს ვიტყვი უარს“ — განაცხადა რუმენიგემ. შეგახსენებთ, რომ უკრაინასთან მსოფლიოს ჩემპიონატის საპლეიოფო მატჩების წინ რუდი ფიოლერისთვის კონსულტაციის გასაწევად შეიქმნა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც რუმენიგეს გარდა რაინერ კალმუნდი („ლევერკუზენის“ მენეჯერი), დიტერ ჰიონესი („ჰერტას“ მენეჯერი) და მიხაელ მაიერი („დორტმუნდის“ მენეჯერი) შევიდნენ.**

ინგლისურ გაზეთ „სანის“ ცნობით, „ლივერპული“ აპირებს, კონტრაქტი გაუფორმოს „შეფილდ უენსდისა“ და ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების მცველ ლაიამ ბრომბის. თავის მხრივ „შეფილდ უენსდის“ მწვრთნელი ტერი იორატი 21 წლის ფეხბურთელის გაშვებაზე არ ფიქრობს, თუმცა ამის გაკეთება, ხელმძღვანელობის ზეწოლით, ალბათ, მაინც მოუწევს. საქმე ისაა, რომ „უენსდის“ 17 მილიონი გირვანქა ვალი აქვს.

**იტალიური „ინტერის“ თურქ თავდამსხმელ ჰაქან შუქურით ინგლისური „ბლექბერნი“ დაინტერესდა. „ბლექბერნის“ თავკაცმა გრემ სუნესმა შუქურს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტია მისცა. კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში თურქი ფორვარდი ხელფასის სახით კვირაში 30 ათას გირვანქას მიიღებს. შუქურამდე სუნესი რობი ფაულერის გადაბირებას ცდილობდა, თუმცა ლივერპულელმა „ლიდსი“ არჩია.**

ინგლისის პირველი დივიზიონის „კრისტალ პალასმა“ „ფულემის“ მცველ კიტ საიმონსს გაუფორმა კონტრაქტი. „კრისტალ პალასს“ ახალი ფეხბურთელი 400 ათასი გირვანქა დაუჯდა. უელსის ნაკრების წევრმა ახალ კლუბთან პირადი კონტრაქტის პირობებიც შეათანხმა და გუშინწინ „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგაც ითამაშა. აღსანიშნავია, რომ წინა კვირაში „კრისტალ პალასმა“ მწვრთნელი სტივ ბრიუსი გაათავისუფლა და მის ნაცვლად ტრევორ ფრენსისი დანიშნა. ამჟამად კლუბი სატურნირო ცხრილში მერვე ადგილზეა.

**პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ოსკარ ჰარისონი ვერ შეუთანხმდა არგენტინელ კარლოს ბიანკის, იგი ეროვნული გუნდის მწვრთნელობას სთავაზობდა. სხვა კანდიდატთაგან ყველაზე რეალურად ჩეზარე მალდინი ჩანს. „ჩვენ მხოლოდ უმაღლესი დონის სპეციალისტს გავუფორმებთ კონტრაქტს, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის გამოცდილება ექნება“ — თვლის ჰარისონი.**

გერმანული „შალკეს“ მწვრთნელმა ჰუუბ სტევენსმა უარი განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების თავკაცობაზე. „ჩემი დრო ჯერ არ დამდგარა“ — განმარტა 48 წლის ჰოლანდიელმა სპეციალისტმა. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას სტევენსი ოფიციალურად არ მიუწვევია, მის გვარს სულ უფრო ხშირად ასახელებენ ამ პოსტის დაკავების კანდიდატად.

**შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრების თავკაცის პოსტზე შესაძლოა, იტალიური „უდინეზედან“ მოხსნილი როი ჰოჯსონი მიიწვიოს. 55 წლის ინგლისელმა სპეციალისტმა აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, თუ შოტლანდიის ნაკრებში იმუშავებს. „უდინეზეს“ მფლობელმა ჯამპაოლო პოცომ ჰოჯსონი მას შემდეგ გაათავისუფლა, რაც ბრიტანულ პრესაში გაჩნდა ცნობები, თითქოს მწვრთნელი კლუბში თავს უბედურად გრძნობდა. თუმცა ამ ხმების სამართლიანობა ჰოჯსონმა კატეგორიულად უარყო.**

გერმანული „ჰერტას“ თავკაცმა იურგენ რიობერმა წლის ბოლომდე უნდა გაარკვიოს თავისი მომავალი. 47 წლის სპეციალისტს კლუბთან კონტრაქტის ვადა 2002 წლის ივნისში ეწურება. ახლო მომავალში ნათელი გახდება, გააგრძელებს თუ არა „ჰერტა“ რიობერთან კონტრაქტს. გერმანული პრესა კი უკვე დაუფარავად საუბრობს შემცვლელის სავარაუდო კანდიდატებზე — ბელგიელ ერიკ გერეტსზე და დანიელ მიქაელ ლაუდრუპზე, თუმცა „ჰერტას“ მენეჯერმა დიტერ ჰიონესმა რიობერი ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მოიხსენია.

**პორტუგალიურ „ვარზიმს“ ახალი მწვრთნელი — ჟოზე ალბერტუ კოშტა დაუნიშნეს. კოშტამ კლუბიდან გათავისუფლებული როჟერიუ გონსალვეში შეცვალა. ბოლო ტურში ლისაბონის „სპორტინგთან“ წაგების შემდეგ „ვარზიმი“ ცხრა ქულით სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფება.**

იტალიური სერია B-ს „ნაპოლიმ“ განაცხადა, რომ იანვრის ბოლომდე დაუბრუნდება საკუთარ სტადიონ „სან პაოლოს“. შეგახსენებთ, რომ „სან პაოლო“ წყალდიდობამ დააზიანა და ამის გამო „ნაპოლი“ საშინაო მატჩებს „ბენევენტოზე“ ატარებს. „აღდგენითი სამუშაოები რამდენიმე დღეში დაიწყება და იმედი მაქვს, დათქმულ ვადებში დამთავრდება“ — განაცხადა ქალაქის მუნიციპალური საბჭოს სპორტულმა კონსულტანტმა ჯულია პარენტემ.

**ბერძნული „პანათინაიკოსი“ იანის კირასტასის გათავისუფლების შემდეგ ჯერაც ახალი მწვრთნელის ძიებაშია. ერთ-ერთი კანდიდატი თურქული „ბეშიქთაშის“ თავკაცი კრისტოფ დაუმია. შეგახსენებთ, რომ ნარკოტიკების ხმარებაში მხილებული 47 წლის გერმანელი ამჟამად სამშობლოშია და სასამართლოზე თავისი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობს. დაუმის გარდა „პანათინაიკოსის“ თავკაცის პოსტზე პარაგვაელ სერხიო მარქარიანს, ბოსნიელ ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩსა და თურქ ფათიჰ თერიმსაც ასახელებენ.**

მოლდოვის ნაკრების მწვრთნელის ვინაობა მომავალი წლის თებერვალში გაირკვევა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ პაველ ჩობანუს თქმით, გადამწყვეტი ფაქტორი ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრის შედეგები იქნება, რომელიც პორტუში 25 იანვარს შედგება. „თუ ჯგუფში ძლიერ მეტოქეებთან მოვხვდებით, მაშინ არაა გამორიცხული, უცხოელი მწვრთნელიც მოვიწვიოთ“ — განაცხადა ჩობანუმ. შეგახსენებთ, რომ წინა შესარჩევ ციკლში მოლდოვის ნაკრებმა ორი თავკაცი — ალექსანდრ მაციურა და ალექსანდრ სპირიდონი გამოიცვალა.



ელენ მაკარტური, დევიდ ბექემი, ალექს ფერგიუსონი და მაიკლ ოუენი

# ბექემმა სამეფოს გერმანია დაავიწყა

BBC-მ გაერთიანებული სამეფოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დევიდ ბექემი აღიარა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველს ჯილდო კომპანიის სატელევიზიო ცენტრში გადასცეს. BBC-მ სატელეფონო გამოკითხვით დაადგინა გამარჯვებული. რეფერენდუმში კი, 750 ათასმა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტანი რამდენიმე დღით ადრე ბრიტანეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამაც დაასახელა წლის საუკეთესო სპორტსმენად, რაც მიანიშნებს, რომ ბექემის ღვაწლში ეჭვი არავის ეპარება.

ფეხბურთელის ასეთი აღიარება, საერთო აზრით, მის მიერ საბერძნეთის ნაკრების კარში ბოლო წუთზე ჯარიმიდან გატანილმა გოლმა განაპირობა, რითაც ინგლისის ნაკრები უპლეიოფოდ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე, თორემ ნაკრებში მეტი გოლი მაიკლ ოუენმა შეაგდო, გერმანიას ხომ სულაც ჰეთ თრიქი შეუსრულა.

BBC-ის რეფერენდუმში კი, მეორე ადგილზე აფროსანი ქალი ელენ მაკარტური გავიდა, ხოლო მესამეზე — ზემოთ ნახსენები ლივერპულელი მაიკლ ოუენი. ექვსეულში ასევე შევიდნენ მოკრივე ლენოქს ლუისი, ჩოგბურთელი ტიმ ჰენმანი და სამხტომელი ჯონათან ედვარდსი.

„ამ ჯილდოს მიღება ჩემთვის უდიდესი პატივია. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩემს წარმატებაში წვლილი შეიტანა“ — განაცხადა ბექემმა და ჩამოთვალა: თანაგუნდელები, მშობლები, მეუღლე ვიქტორია ადამსი და სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც ცერემონიალზე საგანგებოდ [illegible] აჯილდოვეს — კარიერაში გაწეული ღვაწლისთვის.

„ვამაყობ, რომ რამდენიმე დიდი ფეხბურთელის აღზრდაში მეც მიმიძღვის წვლილი“ — თქვა სამადლობელ სიტყვაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა.

ბრიტანეთის წლის საუკეთესო გუნდად, ისევე როგორც სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვისას, „ლივერპული“ დაასახელეს. ენფილდელთა მოგებული თასების რაოდენობის (ხუთი) გათვალისწინებით, აღიარება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა.

სატელევიზიო ცენტრში შეკრებილთ ნაავადმყოფარი ჟერარ ულიე პირდაპირ ეთერში დიდი ეკრანიდან მიესალმა: „მე ახლა ჩემს ფეხბურთელებზე ვფიქრობ. ბიჭებმა ასეთი დაფასება დაიმსახურეს. გულშემატკივრებისაც მადლობელი ვარ“.

წლის საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში კი ულიეზე მეტი ხმა სვენ გორან ერიკსონმა დააგროვა. აბა, როგორ იქნებოდა — ისეთ მდგომარეობაში მყოფი გუნდი ჩაიბარა, შესარჩევ ჯგუფში გერმანიის გადასწრებას ვინ იფიქრებდა.

ნაკრების თავკაცს ჯილდო სერ ბობი ჩარლტონმა გადასცა. არადა, მისი ძმა ჯეკი თავის დროზე უცხოელის მოყვანის სასტიკი წინააღმდეგი იყო.

შვედმა განაცხადა: „მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაზე არ გაგვიმართლა. მაგრამ თუ გერმანიის სტუმრად 5:1 დამარცხება შევძელით, ესე იგი, არგენტინის ნაკრების დაჯაბნაც ძალგვიძს“.

საუკეთესო არაბრიტანელი სპორტსმენი უიმბლდონის მომგები ხორვატი ჩოგბურთელი გორან ივანიშევიჩი გახდა, პრიზი კი ბორის ბეკერისგან მიიღო.

**ნიკა შუღლაძე**

# ბორა კაცია!
# ვემგზავრთელა ჩინეთი ამშობიარა

*სერბი ბორა მილუტინოვიჩი აქამდე ზედიზედ ოხთჯერ გაუძღვა ოთხ სხვადასხვა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე და გაისად ზაფხულში მეხუთე მუნდიალზე წავა. 1986 წელს, მექსიკაში, მასპინძლები მეოთხედფინალში ათამაშა, სადაც მომავალ ფინალისტ გერმანიასთან ოდენ პენალტების სერიაში დამარცხდა. ოთხი წლის შემდეგ, იტალიაში, საეჭვო კლასის კოსტა რიკა მერვედფინალში მიიყვანა, ისევე როგორც მასპინძელი ამერიკა 1994 წელს (დამარცხდა ბრაზილიასთან). საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატი და იქაც მერვედფინალი — ამჯერად ნიგერიასთან ერთად. ხოლო რას შემოგვთავაზებს 57 წელს მიტანებული მილუტინოვიჩის ჩინეთი 2002 წლის პირველობაზე, გაისად ზაფხულს ვიხილავთ.*

*ეს ინტერვიუ რეკორდსმენ მწვრთნელს გერმანული გაზეთის **DIE WELT**-ის კორესპონდენტმა ჩამოართვა.*



ბორა მილუტინოვიჩმა ჩინელებს ფეხბურთი ასწავლა

**— თქვენ ჩინეთის ეროვნული გმირი ხართ...**

— შესარჩევი ეტაპის ღირსეულად ჩამთავრების შემდეგ გულშემატკივრები ჩემზე მხოლოდ კარგს ამბობენ. ჩემს ჩამოსვლამდე მცირე ხნით ადრე ჩინური გაზეთები წერდნენ, ლეგენდარული მილუტინოვიჩი მოდისო, მაგრამ მე მაშინ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ სალეგენდო არაფერი მაქვს.

**— თქვენ ბრაზილიასთან, თურქეთთან და კოსტა რიკასთან ერთად მოხვდით ჯგუფში. ბრაზილიასთან კოსტა რიკისა და ამერიკის ნაკრებებში მუშაობისას დამარცხებულხართ...**

— ეტყობა, ბრაზილია ჩემი ბედისწერაა, მაგრამ ტეტრაკამპეონები ხომ ყოველთვის ფავორიტები არიან.

**— ჩინეთი მეხუთე ნაკრებია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანეთ. ეს თქვენი ყველაზე დიდი მიღწევაა?**

— ჩინეთთან ადვილი იყო. შესარჩევი ეტაპის ექვი მატჩი იოლად მოვიგეთ და უპრობლემოდ გავედით ფინალურ ეტაპზე. ეს ყველაზე ხანმოკლე შესარჩევი ციკლი გამოდგა ჩემთვის, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიულ სიდიდეს და საფეხბურთო გამოუცდელობას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ მართლაც ყველაზე დიდი მიღწევა გამოდის.

**— ჩინური ფეხბურთის შესახებ რას იტყოდით?**

— ჩინურ ფეხბურთს კონკურენტუნარიანობა აკლია. საერთაშორისო გამოცდილება არ ჰყოფნის, ფეხბურთელებს არა აქვთ შესაძლებლობა, ევროპულ გუნდებში გადავიდნენ. ჩინეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგა მხოლოდ ხუთი წლისაა. აქ ვერ იხილავთ ქუჩაში მობურთალ ბავშვებს. ლონდონსა და ბელგრადში უფრო მეტი საფეხბურთო მოედნებია, ვიდრე მთელ ჩინეთში.

**— თქვენი წინამორბედი კლაუს შლაპნერი გუნდური სულისკვეთების უქონლობას უჩიოდა...**

— ჩინელები ინდივიდუალურად უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე ამას წარმოვიდგენდი. მათ ვეუბნები: მისმინეთ და გააკეთეთ ის, რასაც გეუბნებით, შედეგი დიდხანს არ დააყოვნებს. მართლაც, ვფიქრობ, ცხრა თვეში ჩვენ ბევრს მივაღწიეთ.

სარბიელი & კროკი
წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

### გერმანია. პირველი ბუნდესლიგა. 2001-02. XVII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | შანსიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.12.01 | 18.30 | 001 | 1:0შტუტგარტი; კოტბუსი1:0; 3:1ფრაიბურგი **მიუნხენი** V **გლადბახი** ჰანზა0:2; 1:1შტუტგარტი; 1:3ვოლფსბურგი | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | - | - | - | 3:1 0:2 |
| 15.12.01 | 18.30 | 002 | 0:0შალკე; ბაიერნი2:1; 1:1ჰანზა **ჰერტა** V **ლევერკუზენი** ნიურნბერგი4:2; 1:2ვერდერი; ჰამბურგი4:1 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 0:4 1:1 | 0:0 1:3 | 0:1 2:2 |
| 15.12.01 | 18.30 | 003 | 2:4ლევერკუზენი; შალკე0:3; 0:0ბაიერნი **ნიურნბერგი** V **ზტ. პაული** ვერდერი0:3; 3:4ჰამბურგი; კიოლნი1:2 | 1,75 | 3,2 | 4,0 | | | | - | - | - | - |
| 15.12.01 | 18.30 | 004 | 3:0ზტ. პაული; ლევერკუზენი2:1; 4:1შალკე **ვერდერი** V **დორტმუნდი** ჰამბურგი1:0; 2:0კიოლნი; ლაუტერნი3:0 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 1:2 0:0 | 3:1 3:2 | 1:1 1:2 |
| 15.12.01 | 18.30 | 005 | 0:1დორტმუნდი; ზტ. პაული4:3; 1:4ლევერკუზენი **ჰამბურგი** V **ფრაიბურგი** კიოლნი0:0; 0:3ლაუტერნი; მიუნხენი1:3 | 1,85 | 3,1 | 3,8 | | | | - | 5:0 0:0 | 2:0 2:0 | 0:0 2:1 |
| 15.12.01 | 18.30 | 006 | 0:0ფრაიბურგი; დორტმუნდი0:2; 2:1ზტ. პაული **კიოლნი** V **კოტბუსი** ლაუტერნი0:2; 0:1მიუნხენი; შტუტგარტი0:0 | 1,8 | 3,2 | 3,8 | | | | - | 2:0 4:0 | - | |
| 15.12.01 | 18.30 | 007 | 2:0გლადბახი; ვოლფსბურგი1:2; ჰერტა1:1 **ჰანზა** V **ბაიერნი** ვოლფსბურგი3:3; 1:2ჰერტა; ნიურნბერგი0:0 | 4,0 | 3,2 | 1,75 | | | | - | 1:0 3:2 | 0:3 1:4 | 1:6 0:4 |
| 16.12.01 | 20.30 | 008 | 3:3ბაიერნი; 2:1ჰანზა; გლადბახი3:1 **ვოლფსბურგი** V **შალკე** ჰერტა0:0; 3:0ნიურნბერგი; ვერდერი1:4 | 2,4 | 3,0 | 2,7 | | | | - | 2:0 1:2 | 1:1 0:0 | 0:0 0:2 |
| 16.12.01 | 20.30 | 009 | 2:0კოტბუსი; ფრაიბურგი3:0; 0:3დორტმუნდი **ლაუტერნი** V **შტუტგარტი** მიუნხენი0:1; გლადბახი1:1; 0:0კოტბუსი | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | - | 1:0 1:6 | 1:0 1:2 | 0:4 1:1 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერი 1904 ლევერკუზენი (4) | | 24.02 | 2:1 | 1:1 | 21.04 | 04.05 | 06.02 | 4:1 | 24.03 | 2:1 | 4:1 | 4:1 | 27.01 | 10.02 | 10.03 | 07.04 | 4:2 | 3:1 | 16 | 12 | 3 | 1 | 42:19 | 39 | 7 | 1 | 0 | 24:9 | 22 | 5 | 2 | 1 | 18:10 | 17 |
| 2 | ბორუსია დორტმუნდი (3) | 1:1 | | 3:0 | 0:2 | 04.05 | 27.01 | 17.02 | 1:0 | 07.04 | 4:0 | 0:2 | 1:0 | 06.02 | 10.03 | 24.03 | 21.04 | 2:0 | 03.03 | 16 | 12 | 1 | 3 | 27:9 | 37 | 5 | 1 | 2 | 12:5 | 16 | 7 | 0 | 1 | 15:4 | 21 |
| 3 | კაიზერსლაუტერნი (8) | 31.03 | 14.04 | | 17.03 | 2:1 | 4:1 | 0:0 | : | 19.12 | 03.03 | 3:0 | 06.02 | 3:1 | 3:2 | 27.04 | 2:1 | 17.02 | 5:1 | 16 | 11 | 1 | 4 | 35:20 | 34 | 7 | 1 | 0 | 22:7 | 22 | 4 | 0 | 4 | 13:13 | 12 |
| 4 | ბაიერნი მიუნხენი (1) | 03.02 | 10.02 | 4:1 | | 07.04 | 21.04 | 3:0 | 4:0 | 10.03 | 3:3 | 1:0 | 3:0 | 04.05 | 19.12 | 24.02 | 24.03 | 0:0 | 2:0 | 16 | 10 | 3 | 3 | 34:10 | 33 | 6 | 2 | 0 | 20:4 | 20 | 4 | 1 | 3 | 14:6 | 13 |
| 5 | ვერდერი ბრემენი (7) | 2:1 | : | 10.02 | 1:0 | | 17.03 | 14.04 | 03.02 | 1:3 | 1:0 | 19.12 | 24.02 | 31.03 | 1:0 | 3:2 | 1:1 | 3:0 | 27.04 | 16 | 10 | 2 | 4 | 27:16 | 32 | 6 | 1 | 1 | 13:7 | 19 | 4 | 1 | 3 | 14:9 | 13 |
| 6 | ჰერტა ბერლინი (5) | : | 0:2 | 24.02 | 2:1 | 3:1 | | 27.04 | 10.02 | 2:1 | 2:0 | 03.02 | 10.03 | 14.04 | 3:0 | 2:3 | 3:0 | 24.03 | 19.12 | 16 | 8 | 4 | 4 | 25:19 | 28 | 6 | 0 | 2 | 17:8 | 18 | 2 | 4 | 2 | 8:11 | 10 |
| 7 | შალკე 04 გელზენკირხენი (2) | 3:3 | 1:0 | 24.03 | 27.01 | 1:4 | 0:0 | | 10.03 | 1:0 | 04.05 | 24.02 | 07.04 | 3:1 | 03.02 | 2:0 | 3:1 | 21.04 | 10.02 | 16 | 7 | 5 | 4 | 19:17 | 26 | 5 | 2 | 1 | 14:9 | 17 | 2 | 3 | 3 | 5:8 | 9 |
| 8 | შტუტგარტი (15) | 17.03 | 31.03 | 04.05 | 03.03 | 0:0 | 0:0 | 3:0 | | 0:1 | 17.02 | 3:0 | 27.01 | 2:1 | 1:1 | 14.04 | 0:0 | 06.02 | 2:0 | 16 | 6 | 5 | 5 | 18:16 | 23 | 4 | 4 | 1 | 11:3 | 16 | 2 | 1 | 4 | 7:13 | 7 |
| 9 | მიუნხენი 1860 (11) | 1:4 | 1:3 | 0:4 | 1:5 | 06.02 | 17.02 | 17.03 | 27.04 | | 2:1 | 14.04 | 1:1 | 03.03 | : | 1:0 | 27.01 | 1:0 | 31.03 | 16 | 7 | 2 | 7 | 21:27 | 23 | 3 | 1 | 4 | 8:18 | 10 | 4 | 1 | 3 | 13:9 | 13 |
| 10 | ვოლფსბურგი (9) | 19.12 | 03.02 | 2:0 | 27.04 | 24.03 | 07.04 | : | 0:2 | 24.02 | | 1:1 | 0:1 | 21.04 | 3:1 | 10.02 | 10.03 | 5:0 | 1:1 | 16 | 5 | 4 | 7 | 26:24 | 19 | 3 | 2 | 2 | 12:6 | 11 | 2 | 2 | 5 | 14:18 | 8 |
| 11 | ფრაიბურგი (6) | 03.03 | 17.03 | 21.04 | 17.02 | 3:0 | 1:3 | 2:0 | 07.04 | 1:3 | 06.02 | | 04.05 | 1:1 | 24.03 | 3:1 | 0:0 | 27.01 | 2:2 | 16 | 4 | 5 | 7 | 19:26 | 17 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 12 | 1 | 2 | 5 | 6:16 | 5 |
| 12 | ჰამბურგი (13) | 14.04 | 27.04 | 2:3 | 31.03 | 0:4 | 4:0 | 0:0 | 2:0 | 03.02 | 17.03 | : | | 0:1 | 3:3 | 19.12 | 10.02 | 03.03 | 4:3 | 16 | 4 | 4 | 8 | 19:26 | 16 | 3 | 2 | 3 | 15:14 | 11 | 1 | 2 | 5 | 4:12 | 5 |
| 13 | ჰანზა როსტოკი (12) | 0:3 | 0:2 | 10.03 | : | 0:1 | 1:1 | 19.12 | 24.02 | 2:2 | 1:2 | 10.02 | 24.03 | | 27.04 | 0:0 | 3:0 | 07.04 | 03.02 | 16 | 4 | 4 | 8 | 15:22 | 16 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 6 | 3 | 1 | 4 | 8:11 | 10 |
| 14 | ბორუსია მიონხენგლადბახი (დ) | 0:1 | 1:2 | 27.01 | 1:0 | 03.03 | 31.03 | 0:0 | 21.04 | 04.05 | 14.04 | 2:2 | 17.02 | 0:2 | | 0:0 | 06.02 | 17.03 | 2:2 | 16 | 3 | 6 | 7 | 17:24 | 15 | 1 | 4 | 3 | 6:9 | 7 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| 15 | ენერგი კოტბუსი (14) | 2:3 | 0:2 | 0:2 | 0:3 | 27.01 | 06.02 | 03.03 | 0:0 | 21.04 | 3:3 | 31.03 | 1:0 | 17.02 | 07.04 | | 04.05 | 1:0 | 17.03 | 16 | 3 | 4 | 9 | 13:28 | 13 | 2 | 2 | 4 | 7:13 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |
| 16 | კიოლნი (10) | 1:2 | 0:2 | 03.02 | 0:2 | 17.02 | 03.03 | 31.03 | 19.12 | 2:0 | 0:4 | 27.04 | 2:1 | 17.03 | 0:2 | : | | 1:2 | 14.04 | 16 | 3 | 3 | 10 | 11:28 | 12 | 2 | 0 | 6 | 6:15 | 6 | 1 | 3 | 4 | 5:13 | 6 |
| 17 | ნიურნბერგი (დ) | 27.04 | 19.12 | 0:2 | 14.04 | 10.03 | 1:3 | 0:3 | 2:4 | 10.02 | 31.03 | 2:0 | 0:0 | 2:0 | 1:2 | 03.02 | 24.02 | | : | 16 | 3 | 2 | 11 | 12:31 | 11 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 | 1 | 1 | 6 | 4:17 | 4 |
| 18 | ზტ. პაული ჰამბურგი (დ) | 17.02 | 1:2 | 07.04 | 06.02 | 0:3 | 0:0 | 0:2 | 24.03 | 0:3 | 27.01 | 10.03 | 21.04 | 0:1 | 24.02 | 4:0 | 1:2 | 04.05 | | 16 | 1 | 4 | 11 | 16:34 | 7 | 1 | 1 | 6 | 6:13 | 4 | 0 | 3 | 5 | 10:21 | 3 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა. 2001-02. XVII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | შანსიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.12.01 | 22.00 | 010 | 1:3ალემანია; უნიონი2:1; 1:3ფიურტი **უნტერჰახინგი** V **კარლსრუე** ვალდჰოფი1:2; 0:2ალემანია; 0:1როიტლინგენი | 1,85 | 3,2 | 3,6 | | | | - | - | - | 0:1 1:1 |
| 14.12.01 | 22.00 | 011 | 2:1აინტრახტი; ზაარბრიუკენი3:1; 2:4შვაინფურტი **ალენი** V **არმინია** ობერჰაუზენი3:1; 4:4ჰანოვერი; მაინცი0:1 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | - | 1:1 1:1 | - | - |
| 14.12.01 | 22.00 | 012 | 1:3არმინია; აინტრახტი2:1; 0:1ზაარბრიუკენი **ობერჰაუზენი** V **დუისბურგი** ჰანოვერი2:6; 4:4მაინცი; ბოხუმი0:1 | 2,2 | 3,1 | 3,0 | | | | - | 1:0 2:1 | - | - |
| 15.12.01 | 17.00 | 013 | 1:1ზაარბრიუკენი; შვაინფურტი3:1; 1:4ვალდჰოფი **ბაბელსბერგი** V **აინტრახტი** ალენი1:2; 1:2ობერჰაუზენი; ჰანოვერი1:1 | 3,0 | 3,1 | 2,2 | | | | - | - | - | - |
| 15.12.01 | 18.00 | 014 | 1:2შვაინფურტი; 0:1ვალდჰოფი; კარლსრუე1:0 **როიტლინგენი** V **ზაარბრიუკენი** ბაბელსბერგი1:1; 1:3ალენი; ობერჰაუზენი1:0 | 1,6 | 3,4 | 5,0 | | | | - | 8:2 2:2 | - | - |
| 16.12.01 | 18.00 | 015 | 6:2დუისბურგი; არმინია4:4; 1:1აინტრახტი **ჰანოვერი** V **ფიურტი** მაინცი3:2; 1:1ბოხუმი; უნტერჰახინგი3:1 | 1,65 | 3,2 | 5,0 | | | | - | 1:2 2:1 | 0:0 1:2 | 1:1 1:0 |
| 16.12.01 | 18.00 | 016 | 2:3ფიურტი; დუისბურგი4:4; 1:0არმინია **მაინცი** V **უნიონი** ბოხუმი1:0; 1:2უნტერჰახინგი; ალემანია5:1 | 1,75 | 3,1 | 4,2 | | | | - | - | - | - |
| 16.12.01 | 18.00 | 017 | 0:1უნიონი; ფიურტი1:1; 1:0დუისბურგი **ბოხუმი** V **ალემანია** უნტერჰახინგი3:1; კარლსრუე2:0; 1:5უნიონი | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | - | - | - |
| 16.12.01 | 18.00 | 018 | 2:1კარლსრუე; როიტლინგენი1:0; ბაბელსბერგი4:1 **ვალდჰოფი** V **შვაინფურტი** როიტლინგენი2:1; 1:3ბაბელსბერგი; ალენი4:2 | 1,65 | 3,3 | 4,7 | | | | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაინცი (14) | | 2:2 | | | 1:1 | 5:1 | : | | | 2:1 | | 2:0 | 1:0 | 4:1 | 4:4 | | | | 16 | 11 | 3 | 2 | 36:18 | 36 | 5 | 3 | 0 | 21:10 | 18 | 6 | 0 | 2 | 15:8 | 18 |
| 2 | ჰანოვერი (9) | | | 4:4 | : | | | | 2:0 | 3:0 | | 2:0 | | 5:0 | | | 6:1 | 2:0 | 0:0 | 16 | 9 | 7 | 0 | 46:17 | 34 | 6 | 2 | 0 | 24:5 | 20 | 3 | 5 | 0 | 22:12 | 14 |
| 3 | არმინია ბილეფელდი (13) | 0:1 | | | | | | 4:1 | | | | 5:0 | 2:0 | | | 2:2 | 0:1 | 3:1 | 3:1 | 16 | 9 | 3 | 4 | 32:17 | 30 | 5 | 1 | 2 | 19:7 | 16 | 4 | 2 | 2 | 13:10 | 14 |
| 4 | გროითერ ფიურტი (5) | 3:2 | | 0:1 | | | | 0:0 | | | | 3:1 | 3:1 | | | | 1:0 | 2:2 | 3:1 | 16 | 7 | 5 | 4 | 25:18 | 26 | 5 | 2 | 1 | 15:8 | 17 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 9 |
| 5 | აინტრახტი მაინის ფრანკფურტი (დ) | | 1:1 | 0:2 | 1:4 | | 1:2 | | 1:0 | 2:2 | 3:1 | | | | 2:0 | | | | | 16 | 7 | 5 | 4 | 24:18 | 26 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 | 4 | 3 | 1 | 13:6 | 15 |
| 6 | ალენი (6) | | 2:5 | : | 1:0 | | | | 2:5 | 1:0 | | 0:0 | | 4:1 | | | 1:1 | | 3:1 | 16 | 8 | 2 | 6 | 31:36 | 26 | 4 | 2 | 2 | 14:13 | 14 | 4 | 0 | 4 | 17:23 | 12 |
| 7 | უნიონი ბერლინი (დ) | | 1:1 | | | 0:4 | 5:0 | | 1:0 | 5:1 | 5:0 | | | | 3:0 | 0:1 | | | | 16 | 7 | 4 | 5 | 32:20 | 25 | 5 | 1 | 2 | 20:7 | 16 | 2 | 3 | 3 | 12:13 | 9 |
| 8 | ბოხუმი (დ) | 2:1 | | 0:0 | 1:1 | | | | | : | | 1:1 | | 1:1 | | | 4:1 | 3:3 | 3:2 | 16 | 6 | 6 | 4 | 26:22 | 24 | 3 | 5 | 0 | 15:10 | 14 | 3 | 1 | 4 | 11:12 | 10 |
| 9 | ალემანია აახენი (10) | 0:2 | : | 3:2 | 2:1 | | | | | | | 1:0 | 3:1 | 2:0 | | | 2:2 | 2:1 | 0:0 | 16 | 6 | 3 | 7 | 19:29 | 21 | 6 | 2 | 1 | 15:9 | 20 | 0 | 1 | 6 | 4:20 | 1 |
| 10 | როიტლინგენი (7) | | 2:2 | 2:3 | 0:1 | | 3:2 | | 3:0 | 3:1 | | | | 1:0 | | | | | : | 16 | 6 | 2 | 8 | 26:28 | 20 | 4 | 1 | 2 | 14:9 | 13 | 2 | 1 | 6 | 12:19 | 7 |
| 11 | ვალდჰოფი მანჰაიმი (4) | 2:4 | | | | 0:0 | | 1:1 | | | 1:0 | | 0:1 | | : | 3:1 | 4:1 | 1:1 | | 16 | 5 | 5 | 6 | 19:23 | 20 | 3 | 3 | 2 | 12:9 | 12 | 2 | 2 | 4 | 7:14 | 8 |
| 12 | უნტერჰახინგი (დ) | | 1:1 | | | 0:1 | 2:3 | 2:1 | 0:2 | | 3:2 | | | : | 1:0 | 0:1 | | | | 16 | 6 | 2 | 8 | 18:22 | 20 | 3 | 1 | 4 | 9:11 | 10 | 3 | 1 | 4 | 9:11 | 10 |
| 13 | კარლსრუე (დ) | | | 0:1 | 4:2 | 2:3 | | 1:1 | | | | 1:2 | | | 1:0 | 2:0 | | | 2:0 | 16 | 6 | 2 | 8 | 21:26 | 20 | 4 | 1 | 3 | 13:9 | 13 | 2 | 1 | 5 | 8:17 | 7 |
| 14 | შვაინფურტი (დ) | | 1:4 | 1:0 | 0:0 | | 4:2 | | 3:3 | 1:0 | 2:1 | | | | | | | | 2:1 | 16 | 5 | 3 | 8 | 16:30 | 18 | 5 | 2 | 1 | 14:11 | 17 | 0 | 1 | 7 | 2:19 | 1 |
| 15 | დუისბურგი (11) | | 2:6 | | 1:1 | 1:1 | 1:4 | | 0:1 | 5:0 | 3:3 | | | | 0:0 | | | | | 16 | 3 | 6 | 7 | 23:31 | 15 | 1 | 4 | 3 | 13:16 | 7 | 2 | 2 | 4 | 10:15 | 8 |
| 16 | ბაბელსბერგი (დ) | 0:1 | | | | : | | 3:2 | | | 0:3 | | 1:4 | 2:4 | 3:1 | 3:1 | | 0:2 | | 16 | 4 | 3 | 9 | 20:37 | 15 | 3 | 0 | 5 | 12:18 | 9 | 1 | 3 | 4 | 8:19 | 6 |
| 17 | როტ ვაისი ობერჰაუზენი (12) | 1:3 | | | | 2:1 | 2:3 | 0:3 | | | 0:1 | | 0:2 | 1:2 | 5:0 | : | | | | 16 | 3 | 3 | 10 | 21:29 | 12 | 2 | 0 | 6 | 11:15 | 6 | 1 | 3 | 4 | 10:14 | 6 |
| 18 | ზაარბრიუკენი (8) | 0:1 | | | | 0:2 | | 2:3 | | | | 1:3 | 0:0 | | | 1:0 | 1:1 | 1:0 | | 16 | 2 | 4 | 10 | 12:26 | 10 | 2 | 2 | 4 | 6:10 | 8 | 0 | 2 | 6 | 6:16 | 2 |

## ინგლისი. პრემიერლიგა. 2001-02. XVII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.12.01 | 19.00 | 034 | 0:1დერბი; 2:3ტოტენჰემი; ფულემი0:0 ბოლტონი V ჩარლტონი ტოტენჰემი3:1; ნიუკასლი1:1; 1:0ჩელსი | 2,1 | 3,1 | 3,2 | | | | : | - | [illegible] | [illegible] |
| 15.12.01 | 19.00 | 035 | 0:2ფულემი; საუთჰემპტონი2:0; 0:0ლესტერი ევერტონი V დერბი ბოლტონი1:0; ლივერპული0:1; 0:1ნიუკასლი | 1,65 | 3,2 | 5,0 | | | | : | 2:2 0:1 | 3:1 2:1 | 0:0 1:2 |
| 15.12.01 | 19.00 | 036 | 0:2ლივერპული; 1:0ბლექბერნი; იფსვიჩი0:0 მიდლსბრო V მანჩესტერი ვესტ ჰემი0:1; ჩელსი0:3; 1:3არსენალი | 3,1 | 3,2 | 2,1 | | | | : | 1:2 0:2 | 0:1 3:4 | 3:2 0:1 |
| 15.12.01 | 19.00 | 037 | 1:0იფსვიჩი; 1:1ჩარლტონი; დერბი1:0 ნიუკასლი V ბლექბერნი ლიდსი1:2; მიდლსბრო0:1; 0:0ჩელსი | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | : | - | - | 0:0 1:1 |
| 15.12.01 | 19.00 | 038 | 4:0ლესტერი; 0:2ევერტონი; ჩარლტონი1:0 საუთჰემპტონი V სანდერლენდი ჩელსი0:0; ვესტ ჰემი1:0; 0:1ლივერპული | 2,3 | 3,1 | 2,8 | | | | : | 2:2 0:1 | 0:2 1:2 | - |
| 15.12.01 | 19.00 | 039 | 1:3ჩარლტონი; ბოლტონი3:2; 1:0ვესტ ჰემი ტოტენჰემი V ფულემი ევერტონი2:0; ლიდსი0:0; 0:0ბოლტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 | | | | : | - | - | - |
| 15.12.01 | 19.00 | 040 | 1:0მანჩესტერი; 0:1სანდერლენდი; ასტონ ვილა1:1 ვესტ ჰემი V არსენალი ასტონ ვილა3:2; 2:0იფსვიჩი; მანჩესტერი3:1 | 3,5 | 3,2 | 1,9 | | | | : | 1:2 0:3 | 2:1 1:2 | 0:1 0:4 |
| 16.12.01 | 18.00 | 041 | 2:1ბლექბერნი; 0:0ფულემი; ასტონ ვილა1:1 ლიდსი V ლესტერი საუთჰემპტონი0:4; 2:0ასტონ ვილა; ევერტონი0:0 | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1,9 | 3,2 | 2,6 | : | 1:3 3:1 | 2:1 1:2 | 0:1 2:1 |
| 16.12.01 | 20.00 | 043 | 0:0სანდერლენდი; ჩარლტონი0:1; 3:0მანჩესტერი ჩელსი V ლივერპული მიდლსბრო2:0; 1:0დერბი; სანდერლენდი1:0 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | : | 3:0 2:2 | 0:1 2:0 | 1:1 2:1 |
| 17.12.01 | 24.00 | 044 | 2:3არსენალი; ლესტერი0:2; 1:1ვესტ ჰემი ასტონ ვილა V იფსვიჩი ნიუკასლი0:1; არსენალი0:2; 0:0მიდლსბრო | 1,5 | 3,4 | 6,5 | | | | - | 2:1 2:1 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
ამ ცოტა ხნის წინ კი გივი ნოდიას ჩემს მომავალზე დაველაპარაკე. მან მითხრა, სერიოზულ ნაბიჯებს ვდგამ იმისთვის, რომ თანამშრომლობა გავაგრძელოთო. „დინამოსთან“ ჩემი კონტრაქტის გახანგრძლივების შესახებ პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ უნდა გველაპარაკა გია ფირცხალავასთან ერთად, მაგრამ... შევდივარ ნოდიას კაბინეტში და ის მეუბნება, გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ჩვენ ერთად ველარ ვიმუშავებთო.

**— იმას დავუბრუნდეთ, რომ გივი ნოდიამ ეს პროფესიული მომენტებით დაასურათხატა. შეგიძლია გადაჭრით თქვა, რომ ეს ასე არ იყო?**

— რა თქმა უნდა, პროფესიული მომენტები აქ არაფერ შუაშია. თამაში არც ერთხელ ჩამიგდია და ჩემი პატარა, მოკრძალებული წვლილიც შევიტანე იმაში, რომ „დინამო“ ექვსეულშია. თანაც გივი ნოდიას არასდროს გამოუთქვამს უკმაყოფილება ჩემს მიმართ, შენიშვნის მსგავსიც არასდროს მოუცია. მან ტრანსფერზე, ალბათ, იმ ცნობილი მოვლენების გამო დამაყენა.

**— უფრო ვრცლად და ზუსტად შეგიძლია გვითხრა, თუ რა მოხდა მაშინ, როცა დილმის ბაზაზე კახა თარგამაძე მივიდა?**

— გუნდის კრება მოეწყო და გარდა იმისა, რომ სოლიდარობა გამოვუცხადეთ გოჩა ტყებუჩავას და ნიკა ჩხეიძეს, ფეხბურთელთა უმრავლესობამ ისიც ვთქვით, რომ გივი ნოდიას უნდობლობას ვუცხადებთ. კახა თარგამაძე შეგვპირდა, თუ გუნდს მაღალი შედეგი არ ექნება, მთავარ მწვრთნელს პოსტიდან გავუშვებთო, მაგრამ... რა შედეგი აქვს „დინამოს“, ხომ კარგად ჩანს.

**— კრებაზე გუნდის უმრავლესობის პოზიცია დაფიქსირდა და არა მხოლოდ შვიდი ფეხბურთელის. რატომ მაინცდამაინც თქვენ დაგაყენეს ტრანსფერზე?**

— ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ უფრო აქტიურად ვუჭერდით მხარს ტყებუჩავას და ჩხეიძეს.

**— იმ კრების შემდეგ პირადად არ დალაპარაკებიხარ ნოდიას?**

— როგორ არა. შევედი მის კაბინეტში და ვუთხარი, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ პრობლემებს გიქმნით და საერთოდ, გუნდში დისკომფორტს ვიწვევ, ახლავე დავტოვებ „დინამოს“-მეთქი. მან მიპასუხა, ეს ინციდენტი დავიწყებას მიეცემა და საქმის კეთება უნდა გავაგრძელოთო. მაგრამ ასე არ მოხდა და მერე ტრანსფერზეც დამაყენა.

ამის მერე კი გივი ნოდიას აღარ შევხვედრივარ. მაგრამ, ალბათ, მოვა დრო და ჩვენ პირადად მოგვიწევს იმის გარკვევა, თუ რატომ მოხდა ასე ყველაფერი.

**— ზოგადად „დინამოში“ შექმნილ სიტუაციაზე და უშუალოდ სამწვრთნელ პროცესზე რას იტყვი, როგორი იყო ვითარება სანამ გუნდს დატოვებდით?**

— მწვრთნელს აქვს უფლება, ფეხბურთელი გააკრიტიკოს და მასზე თქვას, მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებსო, როგორც ეს გივი ნოდიამ გააკეთა, მაგრამ ფეხბურთელსაც ხომ აქვს უფლება, მწვრთნელზე ილაპარაკოს და საკუთარი აზრი გამოთქვას. სიმართლეს მოგახსენებთ — მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში გუნდს ვარჯიშებზე სტანდარტული სიტუაციები არ დაუმუშავებია. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, სათანადო განწყობა არ ყოფილა. გოჩა ტყებუჩავას დროს კი ბევრად განსხვავებული ვითარება იყო. წინა სეზონში ხომ აშკარად უფრო შესუსტებული შემადგენლობით მესამე ადგილს მივაღწიეთ, რაც უმთავრესად მწვრთნელის მიერ მიღწეული განწყობით და შემართებით იყო განპირობებული. პლეიოფში სტუმრად „ტორპედოსთან“ მსაჯს გამოგონილი პენალტი რომ არ დაედო, უფრო მაღალ შედეგებზეც შეიძლებოდა ფიქრი. ახლა „დინამოს“ საუკეთესო პირობები აქვს, შემადგენლობაც გაძლიერდა, მაგრამ მისი ზეექვსეულში მოხვედრაც კი სათუოა. და საერთოდ, „დინამოში“ ჩემი ბევრი მეგობარი თამაშობს და ყველაფრის თქმას არ ვაპირებ. „დინამოს“ მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ. მე კი იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ერთი წელი მაინც ვითამაშე ჩემი ოცნების გუნდში.

**დავით თაგარტქილაძე**

# გენერალური პროტესტი

## ვაჟა ჭვანიამ პროკურორი მოითხოვა




**კვლავაც** პატიმრობაში იმყოფება ვაჟა ჭვანია. შეგახსენებთ, წარსულში „დინამოს“ ცნობილი ფეხბურთელი სამართალდამცავებმა ორი თვის წინ დააპატიმრეს. ჭვანიას ბრალს უკანონო ბიზნესში სდებენ. მან თავის დროზე ამ ბრალდებას ამომწურავი პასუხი გასცა და თავისი უდანაშაულობა დაამტკიცა. მაგრამ ძალოვნებმა რატომღაც ხელახლა წამოიწყეს ძიება და რამდენჯერმე სცადეს ჭვანიას ბინიდან აყვანა.

ოჯახი ამ დავიდარაბად არ მიღირს, ჩავბარდები, ჩემს სიმართლეს მაინც დავამტკიცებო, თქვა „დინამოს“ ყოფილმა გენერალურმა მდივანმა და პოლიციაში საკუთარი ფეხით მივიდა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ჭვანიას თავდებში განთავისუფლება ბრძანა, მაგრამ პროკურორმა ეს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და ბრალდებულს აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. იმავდროულად, მიმდინარეობდა გამოძიება, რომლის შედეგებს ჭვანია მშვიდად უცდიდა საკანში. ლოდინი კი დიდხანს გაგრძელდა და გუშინ პატიმარმა გენერალურ პროკურატურაში საპროტესტო განცხადება აფრინა.

— გამოძიება სისხლის სამართლის ყველა საპროცესო ნორმის დარღვევით მიდის, მეტის მოთმენა არ შემიძლია. დაუყოვნელივ მოვითხოვ, გამოძიებაში გენერალური პროკურატურა ჩაერთოს. როდესაც დამაპატიმრეს, ადვოკატის აყვანაზე უარი ვთქვი. მათ თავიანთი ადვოკატი დამინიშნეს, რომლის მცდელობასაც ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. გამოძიება კი ტენდენციურად მიმდინარეობს, ამიტომაც მოვითხოვ, საქმეს გენერალურმა პროკურატურამ მოჰკიდოს ხელი. ჩემი თხოვნით ამ ინსტანციიდან იყვნენ მოსული, მე მათ ვესაუბრე და ოფიციალური განცხადებაც დავწერე, რომლის პასუხსაც ხვალ ველოდები გენერალური პროკურატურიდან — გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას ვაჟა ჭვანიამ.

მოჰკიდებს თუ არა გენერალური პროკურატურა ჭვანიას საქმის გამოძიებას ხელს, ჯერჯერობით უცნობია, რადგან იქ შესაბამისი გადაწყვეტილება გუშინ საღამოს მიღებული ჯერაც არ ჰქონდათ.

**პაატა კვანტალიანი**

# რას ისურვებს კარლსრუე?

## დინამომ თვალი გააჩილა, პირი დააღო

**თბილისი „დინამომ“** უახლოეს მომავალში შესაძლოა საქართველოს ახალგაზრული ნაკრებისა და გერმანული „კარლსრუეს“ ნახევარმცველი ირაკლი სამხარაძე შეიმატოს. 19 წლის სამხარაძე „კარლსრუეში“ კი ირიცხება, მაგრამ თამაში ძირითადად მოყვარულთა კლუბში უწევს. ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენს ითხოვს გერმანული კლუბი ქართველ ფეხბურთელში, თუმცა შესაძლოა, „დინამომ“ ის უფასოდ ჩაიგდოს ხელში.

— სამხარაძეს თვალი დავადგით და მოლაპარაკებები მიმდინარეობს გერმანელებთან. მათ ჩვენი პირობები შევთავაზეთ. ვნახოთ, რა გამოვა. ვფიქრობ, ახლო მომავალში სამხარაძის გადმობირებას შევძლებთ. მეტს ვერაფერს გეტყვით — განუცხადა „სარბიელს“ „დინამოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა გია ფირცხალავამ.

შეგახსენებთ, რომ 19 წლის სამხარაძე უკვე ორი წელია, უცხოეთში თამაშობს. გერმანულ „კარლსრუემდე“ ის შვეიცარიული „ბელინტონას“ ღირსებას იცავდა და ამავდროულად საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში თამაშობდა. ბოლოს ინგლისში გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებს უკაპიტნა.

**კახა შალამბერიძე**




ირაკლი სამხარაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა ვეტერანი მსაჯი
მალხაზ კობიაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

# მომავალ სასჯელამდე, ბიჭებო...
## ძოძუაშვილი, ნოდია, ცხადაძე, მახარაძე ერთად და ერთნაირად დასაჯეთ!






**ერთ საათსაც** არ გაგრძელებულა სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელი სხდომა. გასარჩევიც ბევრი არაფერი იყო, დასასჯელი დაისაჯა და დაემშვიდობნენ კიდეც დისციპლინარები სამუშაო 2001 წელს, თუმცა კომიტეტი წლის ბოლომდე ერთხელაც შეიკრიბება. 20 დეკემბერს ალმასკომის სხდომაზე რამდენიმე სკანდალური საკითხი უნდა გაირჩეს და, ალბათ, დისციპლინარებიც თავის სათქმელს იტყვიან.

„კარგია, გაზაფხულამდე არავინ გვეყოლება დასასჯელი და გასაკიცხი. ჩვენც დავისვენებთ, გაზაფხულიდან კი... თუმცა მანამდე ღმერთმა უწყის, რა იქნება" — თქვა სხდომის შემდეგ თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა. „მერე არაფერიც არ იქნება, გაზაფხულიც შეუმჩნევლად მოგვეპარება და ჩვენც ნაირ-ნაირ სასჯელს დავამტკიცებთ" — უფრო ენერგიული ჩანდა გოგი დემეტრაძე. ასე დავშორდით ერთმანეთს დისციპლინარები და ჟურნალისტები. სხდომაზე აღსანიშნავი კი ის იყო, რომ გუშინ არც ერთი ცთომილი კომიტეტის წინაშე არ წარმდგარა.

...29 ნოემბერი, ავჭალა, „სინათლის" სტადიონი. იქ „მერანმა" სტუმრად ნაწვევი „დინამო" გვარიანად გაასილაქა. თამაშის 79-ე წუთზე მასპინძელი ზაზა ცქიფურიშვილი და სტუმარი მიხეილ ბობოხიძე წაიკიდნენ. ერთმანეთზე გაწეულები მსაჯმა წითელი ბარათით დააშოშმინა. სხვა დარღვევას ადგილი არ ჰქონიაო, დაასრულა საქმის დამსწრეთათვის გაცნობა ზვიად დარასელმა.

„ცხადია, უნდა დავსაჯოთ, მაგრამ ჩხუბი ვინ წამოიწყო თუ ვიცით?" — იკითხა კომიტეტის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილმა.

„მე გახლდით იმ თამაშზე, ცქიფურიშვილმა დაიწყო და ბობოხიძემაც არ დაუთმო" — თითქმის განაჩენის დარი განცხადება გააკეთა გოგი დემეტრაძემ.

ამის შემდეგ ცხადი იყო, მერანელს მეტად მოეკითხებოდა. სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 150 ლარი ჯარიმა. ასეთი იყო საბოლოო ვერდიქტი. დინამოელს კი გაზაფხულზე ორი მატჩის გამოტოვება და 100 ლარით ჯიბის შემსუბუქება მოუწევს.

მომდევნო დღეს ვაკეში „ლოკომოტივმა" „სიონთან" სენსაციურად წააგო. მასპინძელმა გელა ქორიძემ და სტუმარმა ისიანმა იჩხუბესო, ეწერა მსაჯის მიერ წარმოდგენილ პატაკში.

„ვაკეშიც ვიყავი", — დაიწყო გოგი დემეტრაძემ. ქორიძე მსგავს საქციელში ბევრჯერაა შემჩნეული. მართალია, კახა ცხადაძესთან უფრო კორექტულად იქცევა, მაგრამ...

2 თამაში ტრიბუნაზე და 100 ლარი ჯარიმა, რკინიგზელს და ბოლნისელს ერთნაირი სასჯელი ერგოთ.

ხობელ ზაზა აიანდს მეტოქისთვის შეუგინებია, მის თანაგუნდელ თენგიზ ჭიჭინაძეს კი მსაჯისთვის. ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ასლარიანი ჯარიმა აიანდს გამოუწერეს. ჭიჭინაძე სამი თამაში იქნება უსაქმოდ და 150 ლარსაც შეელევა.

ბორჯომელი ვასილ ფირცხალავა „დინამო 2"-თან თამაშისას ორი გაფრთხილების გამო გაუძევებიათ. დისციპლინარებმა თორელი ერთი თამაშით დაასვენეს და 50 ლარი საურავიც დააკისრეს.

წლის ბოლო სხდომაზე ზესტაფონის მეტალურგისა" და წყალტუბოს „სამგურალის" მატჩში მომხდარი დარღვევების გარჩევასაც ველოდით, მაგრამ ზესტაფონური თამაშის ვიდეოჩანაწერის ხილვის შემდეგ წყალტუბოელებს საჩივარი უკანვე გაუთხოვიათ და სადისციპლინო კომიტეტსაც გასარკვევი არაფერი დარჩა.

სხდომაზე სულ ბოლო საკითხი ფედერაციის პრესატაშემ მამუკა კვარაცხელიამ გაიტანა. რამდენი შემთხვევა გვახსოვს, უმაღლესი ლიგის ზოგიერთი გუნდის თავკაცი მატჩის შემდეგ პრესკონფერენციას თავს რომ არიდებსო. ფედერაციის ინსპექტორებს ზოგჯერ უნებლიედ თუ შეგნებულად ამის დაფიქსირება ავიწყდებათ, არადა, დებულება ხომ ირღვევა.

„კოლხეთი" — „ტორპედოს" საეჭვო მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია რევაზ ძოძუაშვილს გამოუტოვებია. „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივის" დაძაბული თამაშის შემდეგ კახა ცხადაძეს დაუვიწყებია ჟურნალისტები. მოუგო „სიონმა" „ლოკომოტივს" და თემურ მახარაძემ არ ინება ათიოდ წუთით ვაკეში შეყოვნება, ხოლო გივი ნოდია ისე გაუმწარებია „მერანთან" წაგებას, რომ ავჭალას მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე გაცლია. მოიგებენ არ მოდიან, წააგებენ და სანთლით არიან საძებნი, ამ ხალხისა ვერაფერი გაგვიგიაო და ოთხივე მწვრთნელს ასლარიანი ჯარიმა სტკიცეს დისციპლინარებმა.

**მამუკა ძგანტალიანი**

# სამგურალი გიგატაძის სიტყვას ელის, გიგატაძე სამგურალის კრებას


გია გიგატაძე

2 მოგება, 4 ფრე, 12 წაგება — ასეთი უხეირო ბალანსით დაასრულა მე-13 ეროვნულის საშემოდგომო ეტაპი წყალტუბოს „სამგურალმა". გუნდმა 10 ქულა დააგროვა და რუსთავის „გორდასთან" ერთად, გაზაფხულამდე, სატურნირო ცხრილის ბოლოში მოკალათდა. არადა, იმერულ კლუბს სეზონი ცუდად არ დაუწყია. „სამგურალმა" სასტარტო ოთხ ტურში ორი მატჩი მოიგო. წყალტუბოელთა საქმეები მერე და მერე აირია. მოყოლებულ 14 თამაშში მათ ერთხელაც ვერ იხეირეს.

„სამგურალის" წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ფინანსური პორბლემების მოუგვარებლობა გახლდათ. მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი. გუნდში დისციპლინაც მოიკოჭლებდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ბოლო ორი მატჩისთვის („მეტალურგთან" და „ვიტ ჯორჯიასთან") „სამგურალი" უმთავარმწვრთნელოდ დარჩა. გია გიგატაძემ გუნდიდან გაცლა არჩია და მის მოვალეობას კლუბის ტექნიკური დირექტორი პავლე გორდეზიანი ასრულებდა. გიგატაძე კომენტარისგან მაშინ თავს იკავებდა. იმას კი ამბობდა, „სამგურალს" საბოლოოდ ჯერ არ დავშორებულვარ, მოვა დრო და ყველაფერს შეიტყობთო.

ჰოდა, გავიდა დრო, ბევრი თუ არა, იმისთვის მაინც საკმარისი, რომ მწვრთნელს რაღაც დაეკონკრეტებინა გუნდში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა...

— იცით, საჯაროდ საუბრისაგან ჯერაც თავს ვიკავებ — გვითხრა გუშინ გია გიგატაძემ — კლუბის საერთო კრებას ველოდები, რომელიც მომავალ კვირას უნდა შედგეს. კრება, ალბათ, ბევრ საკითხს გაარკვევს, მე ჩემსას გულახდილად ვიტყვი. მოთამაშეები, კლუბის მესვეურები თავისას და, ვნახოთ, რა გამოვა. ისე, კლუბის ხელმძღვანელობა მუშაობის გაგრძელებას მთხოვს. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ის კაცი არა ვარ, გუნდი გაჭირვებაში მივატოვო, სიძნელეებს გავექცე. „სამგურალს" ჯერ არაფერი აქვს დაკარგული, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება შესაძლებელია. თუკი გუნდში ერთსულოვნება, ნორმალური ატმოსფერო იქნება, მდგომარეობის გამოსწორება მოხერხდება.

**იუზა ქაციტაძე**

# ნემსაძემ ფეხი აიდგა


გიორგი ნემსაძე

**საქართველოს** ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე ისევ შვეიცარიაშია და ნაოპერაციევ ფეხს მკურნალობს.

შოტლანდიის „დანდის" შარშანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, ალბათ მოგეხსენებათ, დაახლოებით ორი თვის წინ ისე დაშავდა, ამბობდნენ, ზაფხულამდე ვერ ითამაშებსო.

— აქ, შვეიცარიაში, საუკეთესო აღდგენითი ცენტრია, თანაც მეგობრებთან, ყაველაშვილთან და ჯამარაულთან ვარ, ისინი ყურადღებას არ მაკლებენ — გვითხრა გიორგი ნემსაძემ ციურიხში რომ დავუკავშირდით — ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, ექიმების მეთვალყურეობით სარეაბილიტაციო კურსს გავდივარ. სიარულიც აღარ მიჭირს. ეგ კი არა, უკვე ძუნძულიც დავიწყე, ტკივილი აღარ მაწუხებს, თუმცა მუხლის ნამეტანი დატვირთვა არ შეიძლება. ნაახალწლევს, ალბათ, ნელ-ნელა გუნდთან ერთად ვარჯიშსაც განვაახლებ, თამაშით კი ვიმედოვნებ, მარტის დამდეგს ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ექიმები ტრავმის გართულებას არ ელიან. საახალწლოდ თბილისში ჩამოვალ, მერე შვეიცარიაში ექიმები ერთხელაც გამსინჯავენ და „დანდის" მოსამზადებელი პერიოდის ბოლოსკენ შევუერთდები.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ნემსაძემ ოპერაცია ერთი თვის წინ სწორედ ციურიხში, ნაცნობ ქირურგთან გაიკეთა და მისივე რეკომენდაციით სამკურნალოდ იქვე დარჩა.

**კობა ინასარიძე**


ლევან ფანიაშვილი

# ფიფამ ქართველი მსაჯები ერთ გუნდად შეკრა
## ალექსანდრეებს ჭერი მოუძებნეს

**ქართული** ფეხბურთი არდადეგებზეა და, ცხადია, მსაჯებიც ისვენებენ. დროებით მოჩივანებიც აღარ ჩანან. ჰოდა, არის სამსაჯო კომიტეტი არხეინად. მით უფრო, როცა ფიფამ გუშინ მათთვის სასურველი შეტყობინება გამოგზავნა.

შარშანდელს აქეთ რვა ქართველი მსაჯი დაიკვეხნიდა ფიფას არბიტრისა და ასისტენტის წოდებით. 2001 წლის 12 დეკემბრიდან კი მათი რაოდენობა 11-მდე გაიზარდა. დღეიდან 3 ფიფას არბიტრი და 8 ასისტენტი გვყავს.

სერგო კვარაცხელიას და მერაბ მალალურაძეს გუშინდელს აქეთ მხარს ლევან ფანიაშვილიც დაუმშვენებს. შეგახსენებთ, რომ ფანიაშვილი სამი წლის წინაც ფიფას არბიტრი იყო, მერე შემცირებაში მოჰყვა, ახლა კი ისევ ფიფას მსაჯია.

აქამდე ფიფას ასისტენტები ზურაბ დოლიძე, მამუკა ელიკაშვილი, ლევან მიქელაძე, გურამ ჩიგოგიძე, ავთანდილ სამხარაძე და კობა გაბრიაძე იყვნენ. გაისიდან თავის წილ პასუხისმგებლობას ლაშა სილაგავა და ზურაბ მენთეშაშვილიც იკისრებენ.

ალექსანდრე მეშკოვი და მისი მოსახელე შილაკაძე კი დარბაზის ფეხბურთის მსაჯებად დაამტკიცეს. შეგახსენებთ, რომ აქამდე ჭერქვეშ ორივეს უმსაჯია და შეფასებაც მაღალი დაუმსახურებიათ.

**დათო დანელია**


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80


☎ (231) 7 17 63
იყიდება
ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.
ქუთაისში ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ „ სულიკოსთან"

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

# დევშაკი ბრაიანტს გაებუტა



REUTERS ფოტო

მაიამი — მილუოკი. ვლადიმერ სტეფანია მილუოკელ სემ კასელს უფარებს

11 დეკემბერი

**მაიამი 99:97 მილუოკი**

**მაიამი: სტრიკლენდი (4), ჯონსი (23), ჯეკსონი (16), გრანტი (6), მურნინგი (21 ქულა, 10 მოხსნა); ელისი (13), კარტერი (8), ბეტლინგი (6), სტეფანია (4 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება)**

**მილუოკი: კასელი (18 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ალენი (30), რობინსონი (12), მეისონი (11), პრეიბილა (4); ტომასი (18), ჰემი (3), ჯონსონი (1), რიდი**

„გულს უხარია, როცა გასახდელისკენ მიმავალი ყველას სახეზე ღიმილს ხედავ. დიდი ხანი ვიცდიდით და ახლა ჩვენი დროც დადგა". ედი ჯონსი 11 დეკემბრის მატჩმა ოპტიმისტურად განაწყო. ხუმრობა ხომ არ არის, ზედიზედ თორმეტი თამაშის წაგებამ ვაიგუნდმა აღმოსავლეთში პირველობის მოსურნე „მილუოკი ბაქსი" წამოაქცია. ოკეანგაღმელი კალმოსნები ფიქრობენ, რომ „მაიამიმ" კრიზისი დაძლია და ახლა პლეი ოფში მოსახვედრად მოგებების დაგროვებას შეუდგება.

„მაიამი" ჯერაც ცხრილის ფსკერის ბინადარია, პლეი ოფამდე შორია, „მილუოკის" ძლევა კი მცირეთაგან ერთი გამარჯვებაა „ჰითის" მოგებათა გრაფაში. მწვრთნელი პატ რაილი იმედოვნებს, რომ მის შეგირდებს ყველაფერი წინა აქავთ და ამათგან უპირველესად ძველებურად ათამაშებული ალონზო მურნინგის და ახალწვეული ჯიმ ჯეკსონის იმედი აქვს, აგრეთვე ედი ჯონსისა, რომელსაც უნდა უმადლოდეს „მაიამი" „ბაქსის" ძლევას.

რაილიმ კიდევ ერთხელ შეცვალა სასტარტო ხუთეული. როგორც იქნა, იქიდან ამოაგდო გამთამაშებელი ენტონი კარტერი და მის ნაცვლად მოხუცი როდ სტრიკლენდი გაამწესა, ძალისმიერი ფრთა ლაფონსო ელისი კი გაცილებით მოქნილი ჯიმ ჯეკსონით შეცვალა, რამაც მასპინძელთა შეტევა მნიშვნელოვნად გააძლიერა. აღსანიშნავია, რომ რაილიმ სეზონის მეცხრამეტე თამაშში სასტარტო ხუთეულის მეთოთხმეტე ვარიანტი გამოიყენა. „მინდოდა, შემეცვალა ენერგიის ინტენსივობა და შევცვალე ხუთეული. ჩვენ ჯერაც ძიებაში ვართ, ასე რომ, ხუთეულში თამაში არავისა აქვს გარანტირებული" — ამბობს რაილი. ადრე მან სასტარტოში ჩვენებური ვოვა სტეფანიაც მოსინჯა და ქართველიც არ შერცხვა. „მილუოკისთან" კი ვოვას ოთხი წუთით ერგო თამაში.

თვითონ შეხვედრა დაძაბული გამოდგა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია შესამჩნევ უპირატესობას. მატჩის ბოლოსკენ იძალეს მასპინძლებმა, მათმა პირველმა მეჭულე ედი ჯონსმა საფინალო სირენამდე ათი წამით ადრე კაუჭით 99:97 გახადა. სტუმრებმა დარჩენილი დრო ვერ გამოიყენეს.

**ლეიკერსი 93:104 სიეტლი**

**ლეიკერსი: ონილი (37 ქულა, 16 მოხსნა, 6 დაფარება), ბრაიანტი (16)**

**სიეტლი: პეიტონი (29 ქულა, 10 პასი), ბეიკერი (27), ლუისი (17 ქულა, 10 მოხსნა)**

**ნიუ იორკი 93:102 ბოსტონი**

(ძირითადი დრო 89:89)

**ნიუ იორკი: სპრიუელი (49), ჰიუსტონი (24)**

**ბოსტონი: უოლკერი (42 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), პირსი (18 ქულა, 6 ჩაჭრა)**

**ატლანტა 89:87 ფილადელფია**

**ატლანტა: ტერი (23), აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 11 მოხსნა)**

**ფილადელფია: აივერსონი (34 ქულა, 5 ჩაჭრა), მაკკი (16)**

**საკრამენტო 112:100 ორლანდო**

**საკრამენტო: ვებერი (24), სტოიაკოვიჩი (23), თურქოღლუ (17)**

**ორლანდო: მაკგრეიდი (21), მილერი (17)**

**მემფისი 81:91 ვაშინგტონი**

**მემფისი: ვილიამსი (17 ქულა, 11 პასი)**

**ვაშინგტონი: ჰამილტონი (30), ჰეივუდი (17 ქულა, 15 მოხსნა), ჯორდანი (16 ქულა, 9 პასი)**

**მინესოტა 107:86 გოლდენ სტეიტი**

**მინესოტა: შჩერბიაკი (22), გარნეტი (20), სმიტი (18 ქულა, 12 მოხსნა)**

**გოლდენ სტეიტი: ფორტსონი (17 ქულა, 14 მოხსნა), სურა (16)**

**დალასი 105:103 პორტლენდი**

**დალასი: ნეში (39), ფინლი (20)**

**პორტლენდი: ველსი (21 ქულა, 13 მოხსნა),**

**დენვერი 96:99 შარლოტი**

**დენვერი: ლაფრენცი (23), პოუზი (22), ვან ექსელი (18 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა)**

**შარლოტი: ნესლონი (20), ბრაუნი (18 ქულა, 11 მოხსნა)**

**ჩიკაგო 93:107 ნიუ ჯერსი**

**ჩიკაგო: მერსერი (18)**

**ნიუ ჯერსი: ჰარისი (22), კიდი (17)**

**ჰიუსტონი 102:107 კლივლენდი**

**ჰიუსტონი: მობლი (33), ტორესი (28)**

**კლივლენდი: ილგაუსკასი (22), მიური (20), ჯონსი (16 ქულა, 11 მოხსნა)**

„ლეიკერსი" ბოლო ორი სეზონის ჩემპიონია და დიდი შანსია, ამჯერადაც ვერავინ წაართვას პირველობა. ლოსანჯელესელები იმდენად კარგები არიან, რომ გასაკვირია, საერთოდ რატომ აგებენ ხოლმე. აი, თუნდაც „სიეტლთან". ვინ იფიქრებდა, ჩემპიონები ამ გუნდთან თუ დამარცხდებოდნენ, „სიეტლმა" კი თითქოს შეუძლებელი მოახერხა, რადგან ისეთი არავინა ჰყავს, ვინც შაკილ ონილის ფარქვეშ პარპაშს აღკვეთდა. ეს წინასწარი გათვლებით, პრაქტიკულად კი, სიეტლელთა გასახარად, მატჩის ბედი გადაწყვიტა არა ზორბა, არამედ მომცრო ბიჭების დუელმა.

ამას წინათ ონილს უთქვამს, ჩემი თანაგუნდელი კობი ბრაიანტი ნბა-ს საუკეთესო მოთამაშე და ჩემი კერპიაო. იქნებ გულწრფელიც იყო, მაგრამ ამ მატჩის შემდეგ იგი უკმაყოფილო ჩანდა. მართალია, არ უთქვამს, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, სახე რომ სწორედ ბრაიანტის უფხო გარჯამ მოუყამა. დევკაცი შაკილი დიდად მგრძნობიარე ვინმეა და ვერ ჰგუობს, როცა თავად კარგად თამაშობს, მისი გუნდი კი სხვისი ზარმაცობის გამო აგებს.

სიმართლე ითქვას, კობის არ უზარმაცია, მონდომებითაც ირჯებოდა, მაგრამ 23 წლის ჭაბუკი აშკარად დაეჩაგრინა „სიეტლის" ლიდერს, ათი წლით უფროს გერი პეიტონს. კარგა ხანია, პეიტონს ასე კარგად არ უთამაშია. მან უდიდესი სამუშაო შეასრულა, გააკეთა 29 ქულა, ათამაშა მთელი გუნდი და 10 პასიც მიითვალა, ხოლო დაცვაში შესაშური შეუვალობა გამოიჩინა და ბრაიანტს 23 სროლიდან შვიდი თუ ჩააგდებინა. ბრაიანტთან ერთად ჩაფლავდა სრულიად „ლეიკერსის" უკანა ხაზი და საერთოდ, მასპინძელთაგან ერთადერთი ონილი არ შერცხვა, 37 ქულა მიითვალა და სხვაც ბევრი სარგებელი მოუტანა „ლეიკერსს", თუმც მისმა გუნდმა წააგო და შაკსაც ხასიათი წაუხდა. ვინ იცის, იქნებ 11 დეკემბერს მისი კერპი დაიმსხვრა...

ჩემპიონის კვალდაკვალ ვიცე-ჩემპიონმაც წააგო. „ფილადელფიას" დაუბრუნდა სწორუპოვარი მეჭულე ალენ აივერსონი და მისგან 34 ქულაც მიიღო, მაგრამ საბოლოოდ ვერ იხეირა.

დღის ყველაზე საინტერესო მატჩს „მედისონ სკვერ გარდენმა" უმასპინძლა. იქ შეკრებილი ოციათასიანი აუდიტორიის დასანანად, მასპინძელმა „ნიუ იორკ ნიქსმა" თამაშის მომგების სახელი „ბოსტონს" დაუთმო, რომელიც წლეულს აშკარად მოყოჩაღდა. ბოსტონელებმა ვერაფერი მოუხერხეს ნიუიორკელ ლატრელ სპრიუელს, რომელსაც იმ დღეს ყველაფერი გამოსდიოდა. ქომაგები სპრიუელისგან 50 ქულას ითხოვდნენ, მან კი 49 ჩააგდო, ერთი სიტყვით, თითქოს მაინც ისახელა თავი, მაგრამ... სპრიუელმა მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე ექვსი წამით ადრე 88:86 ანგარიშზე ორი საჯარიმოდან ერთი ააცილა. იმ ექვს წამში ბოსტონელმა ანტუან უოლკერმა, რომელიც ასევე იოლად აწიოკებდა მეტოქის კალათს, სამქულიანი ჩააგდო და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც მისმა „ბოსტონმა" იოლად დაჯაბნა მასპინძელი. ასე რომ, გამოვიდა, სპრიუელმა ვერ ივარგა. ის ერთი საჯარიმოც რომ ჩაეგდო, ცხოვრებაში პირველად 50 ქულაც მოუგროვდებოდა და „ნიუ იორკიც" მოიგებდა. ისე კი, ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვსურს.

11 დეკემბერს სხვაც ბევრი რამ მოხდა საინტერესო. მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონმა" ზედიზედ მესამედ მოიგო, „ჰიუსტონ როკიტსმა" კი ზედიზედ მეთერთმეტედ წააგო.

**ირაკლი ფირცხალავა**

---

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**



REUTERS ფოტო

ერთ დროს პიტსბურგელს, აწ კი ვაშინგტონელ იარომირ იაგრს ძალიან სურდა ყოფილი მისიანების გამწარება, მაგრამ...

# ეს ჯოჯოხეთი ადრე სამოთხე იყო

## ნასტვენ-ნაგინებმა იაგრმა იცის: სიყვარულის მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ

12 დეკემბერი

**აილენდერსი 2:2 ოტავა (0:0 2:1 0:1 0:0)**

**1:0 ჩერკავსკი (22), 2:0 იაშინი (37), 2:1 ბონკი (40), 2:2 ჰოსა (57)**

**ტორონტო 6:3 ფინიქსი (1:0 2:1 3:2)**

**1:0 მაკეიბი (9), 2:0 სუნდინი (24), 2:1 ჰანდზუსი (27), 3:1 ტაკერი (37), 4:1 რაიხელი (46), 4:2 ჰანდზუსი (48), 5:2 მაკეიბი (49), 6:2 კორსონი (53), 6:3 მეი (56)**

**ვაშინგტონი 2:2 პიტსბურგი (0:0 1:2 1:0 0:0)**

**0:1 კოვალიოვი (25), 1:1 დალინი (25), 1:2 პრდინა (40), 2:2 საიმონი (45)**

**სან ხოსე 5:4 ედმონტონი (3:2 1:2 0:0 1:0)**

**1:0 ტორნტონი (5), 1:1 კარტერი (8), 2:1 რიჩი (16), 2:2 რ. მიური (17), 3:2 რიჩი (19), 3:3 მარჩანტი (25), 4:3 რატიე (25), 4:4 ჰეხტი (38), 5:4 სტიუარტი (65)**

**ნეშვილი 1:1 ლოს ანჯელესი (0:0 1:0 0:1 0:0)**

**1:0 დელმორი (34), 1:1 ელისონი (49)**

„ეს ჩემთვის ერთი ჩვეულებრივი თამაში იყო" — განაცხადა ოტავასთან მატჩის შემდეგ აილენდერსის ლიდერმა ალექსეი იაშინმა. თუმცა რუსი ჰოკეისტის სიტყვებს, ალბათ, გულწრფელობა აკლდა. მას ხომ ხანგრძლივი და რთული ურთიერთობა ჰქონდა ოტავასთან. რვა წლის განმავლობაში სამჯერ მოაწყო გაფიცვა, ბოლოს ამის გამო სეზონიც გამოტოვა და როგორც იქნა, მოძებნა გამოსავალი — აილენდერსში გადავიდა. ამიტომაც იყო მოსალოდნელი, რომ იაშინის ყოფილი და ახლანდელი კლუბების შეხვედრა დაძაბული, ვნებათაღელვით აღსავსე იქნებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა — რუსი ვარსკვლავის თქმისა არ იყოს, ეს მართლაც ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული მატჩი გამოდგა. თუმცა იაშინს აშკარად სურდა, დაემტკიცებინა ყოფილი პარტნიორებისა და ბოსებისთვის, თუ რა მოთამაშე ვერ დააფასეს თავის დროზე. რუსი ძალიან აქტიურობდა და ორივე გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო. ჯერ იყო და, მისი დარტყმის შემდეგ მარიუშ ჩერკავსკიმ დამატებაზე იხეირა, შემდეგ კი პოლონელის პასი თავად იაშინმა გამოიყენა. ასე დაწინაურდა აილენდერსი, თუმცა ოტავამ თავს მაინც უშველა. უნდა ითქვას, რომ სტუმართა ორივე შაიბაში უდიდესი წვლილი მიუძღვის რადეკ ბონკს, რომელიც იაშინის წასვლის შემდეგ კანადური კლუბის წამყვანი ცენტრი გახდა.

„ამიერიდან პიტსბურგთან შეხვედრა ჩემთვის იოლი არ იქნება. ვიცი, რომ დღეს სტვენასაც მაკადრებენ და უკმაყოფილო შეძახილებსაც" — ვაშინგტონელმა იარომირ იაგრმა იაშინზე გულახდილად ისაუბრა. თუმცა იაშინი ხომ შინ თამაშობდა, პიტსბურგიდან ისევე სკანდალურად წასული ჩეხი კი იმ ხალხის წინაშე წარდგა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ მას აღმერთებდა. რაღა თქმა უნდა, ყოფილ კერპს მაყურებლებმა უსტვინეს და იაგრსაც, რომელიც ძალიან ცდილობდა, მღელვარება არ დასტყობოდა, თამაში არ გამოუვიდა.

მას ძალიან სურდა ყოფილი თანაგუნდელების გაწბილება, თანაც, უკვე შვიდ მატჩში არ გაეტანა, მაგრამ ის იშვიათი მომენტები, რომლებიც ჰქონდა, ვერ გამოიყენა და მხოლოდ ერთი შედეგიანი პასი იკმარა.

ეს შეხვედრაც ფრედ დასრულდა, თავად იაგრი კი მეტად უკმაყოფილო იყო თავისი თამაშით: „დღეს მეტოქეებს ჩემი ჩაკეტვა არ გასჭირვებიათ, რადგან ძალიან ცუდად ვითამაშე" — წაიბურტყუნა ჩეხმა ნამატჩევს.

საერთოდ, გუშინდელი წყვილები მშვიდობიანად გაიყარნენ. ხუთიდან ოთხ მატჩში ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, არც ჩხუბი ატეხილა, მხოლოდ ტორონტოს და ფინიქსის შეხვედრა არ გადაზრდილა ოვერტაიმში. სხვათა შორის, ამ გუნდებმაც ბევრი მოთამაშე გაცვალეს, მაგრამ მხოლოდ ტორონტოელმა რობერტ რაიხელმა დასწყვიტა გული ყოფილ თანაგუნდელებს.

**სამველ ლარიბიანი**

**ჩრდილო აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 31 | 18 | 2 | 3 | 8 | 91:70 | 41 |
| ბოსტონი | 29 | 15 | 3 | 3 | 8 | 72:67 | 36 |
| ოტავა | 29 | 15 | 4 | 0 | 10 | 95:75 | 34 |
| მონრეალი | 29 | 13 | 4 | 1 | 11 | 72:70 | 31 |
| ბუფალო | 31 | 13 | 2 | 1 | 15 | 83:80 | 29 |

**ატლანტიკა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 33 | 17 | 2 | 2 | 12 | 95:94 | 38 |
| აილენდერსი | 30 | 16 | 5 | 1 | 8 | 86:74 | 38 |
| ფილადელფია | 28 | 14 | 5 | 1 | 8 | 79:59 | 34 |
| პიტსბურგი | 30 | 13 | 4 | 2 | 11 | 68:73 | 32 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 12 | 3 | 2 | 11 | 67:74 | 29 |

**სამხრეთ აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 33 | 14 | 4 | 3 | 12 | 81:93 | 35 |
| ვაშინგტონი | 31 | 12 | 5 | 0 | 14 | 88:95 | 29 |
| ტამპა | 30 | 11 | 3 | 1 | 15 | 58:65 | 26 |
| ფლორიდა | 28 | 7 | 2 | 3 | 16 | 56:83 | 19 |
| ატლანტა | 29 | 6 | 3 | 2 | 18 | 65:111 | 17 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 31 | 22 | 2 | 1 | 6 | 99:73 | 47 |
| ჩიკაგო | 32 | 15 | 7 | 0 | 10 | 93:91 | 37 |
| სენტ ლუისი | 29 | 14 | 5 | 1 | 9 | 74:65 | 34 |
| ნეშვილი | 30 | 10 | 5 | 0 | 15 | 76:82 | 25 |
| კოლუმბუსი | 31 | 8 | 5 | 1 | 17 | 57:81 | 22 |

**ჩრდილო დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 32 | 17 | 4 | 2 | 9 | 87:70 | 40 |
| კალგარი | 31 | 15 | 6 | 2 | 8 | 80:71 | 38 |
| კოლორადო | 32 | 17 | 3 | 0 | 12 | 76:61 | 37 |
| მინესოტა | 30 | 11 | 5 | 2 | 12 | 78:90 | 29 |
| ვანკუვერი | 33 | 12 | 4 | 0 | 17 | 84:89 | 28 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 30 | 15 | 5 | 3 | 7 | 88:72 | 38 |
| დალასი | 29 | 12 | 6 | 3 | 8 | 81:78 | 33 |
| ფინიქსი | 30 | 12 | 5 | 3 | 10 | 73:76 | 32 |
| ლოს ანჯელესი | 30 | 9 | 5 | 2 | 14 | 74:76 | 25 |
| ანაჰაიმი | 31 | 9 | 4 | 1 | 17 | 68:86 | 23 |

# ბედნიერება თითებზე ითვლება

## მუხრან ვახტანგაძემ მუშტი შეკრა

*საბერძნეთში ახლახან დასრულებულ ბერძნულ-რომაული სტილი მოჭიდავეთა 46-ე მსოფლიოს ჩემპიონატზე 55 ქვეყნის 257 ფალავანი ერთმანეთს 24 საპრიზო ადგილს ეცილებოდა. მათ შორის იყვნენ საქართველოს ნარგზავნილებიც, რომლებიც წლის უმთავრეს ასპარეზობას სრული შემადგენლობით ეწვივნენ. თუმც, რვა წონით კატეგორიაში ერთადერთ მედალს შესწვდნენ. ჩვენდა საბედნიეროდ, წარმატება საჩემპიონო გამოდგა. მუხრან ვახტანგაძემ 85 კგ წონაში ხალიჩა ტრიუმფით დატოვა და ამით დიდი სიხარული მოგვანიჭა. ისე როგორ იქნებოდა, საბერძნეთიდან გუშინ დაბრუნებულ სპორტსმენს არ გავსაუბრებოდით.*



**— თქვენ ახლა 28 წლის ხართ, სპორტულ სარბიელზე წარმატებათა ათვლა კი ამ სამი წლის წინ დაიწყეთ, როცა მსოფლიო უნივერსიადაზე ბრინჯაო მოიპოვეთ. არადა, თუ ამ ასაკის მოჭიდავეს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია, იგი თავს ანებებს სარბიელზე გამოსვლას. თქვენ დაგვიანებით გახდით ცნობილი მოჭიდავე. რამ განაპირობა ეს? ან ადრე თუ გიფიქრიათ ჭიდაობის მიტოვება?**

— ეკონომიკური გაჭირვება თავისთავად აყენებს ამ საკითხს და არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი, მით უმეტეს, ჩვენი არცთუ შორეული წარსულის არეულობებს თუ გავითვალისწინებთ, მაგრამ ჭიდაობის სიყვარულმა ყველა პრობლემა მეორეხარისხოვანი გახადა. თან ჩემთვის ერთგვარი სტიმული იყო ისიც, რომ ჩემი მწვრთნელის, ჯონი რეხვიაშვილის აღზრდილმა გურამ გედეხაურმა 27 წლისამ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა. ამიტომაც მომავალს იმედით შევყურებდი და მუდამ წარმატებაზე ვფიქრობდი. როგორც გაირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ. 27 წლისა ვიყავი, როცა სიდნეის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე.

ერთი წლის მერე კი მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. ასე რომ, ფარ-ხმალი არასდროს უნდა დაყარო. მთავარია, მომავალს იმედით შესცქეროდე.

**— რა სიახლეები მოხდა თქვენს ცხოვრებაში მას მერე, რაც ოლიმპიური პრიზიორი გახდით, ან ახლანდელი წარმატების შემდეგ თუ შეიცვლება რამე?**

— ოლიმპიური თამაშების მერე ეკონომიკურად ცოტა წელში გავიმართე, მაქვს ბინა, რომელიც სიდნეიში დაკავებული მესამე ადგილისთვის მომცეს. მართალია, ისე ვერ ვცხოვრობ, როგორც, ვთქვათ, უცხოეთში სპორტსმენს ამგვარი წარმატებისთვის აფასებენ, მაგრამ თუ დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას გავითვალისწინებთ, საწუწუნოც არაფერია. მსოფლიოს პირველობაზე გამარჯვების მერე რა იქნება, არ ვიცი, წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

**— ან იქნებ მეტად პოპულარული გახდით?**

— ყოველ შემთხვევაში, ამ მხრივ რაღაც განსაკუთრებულს ვერ ვგრძნობდი. მომავლის წინასწარ განსაზღვრა ძნელია, დღეს კი ფაქტობრივად ვერც აღვიქვამ პოპულარობას.

**— გაზაფხულზე სტამბოლის ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას თქვენი წარუმატებლობის მიზეზი რომ ვკითხეთ, მან ბათუმური შეკრება დაასახელა. თქვენს მშობლიურ ქალაქში ახლობლებ-მეგობრებისგან მოსვენება დაგიკარგავთ, ფორმიდან ამოვარდნილხართ და ამიტომაც ვერ მოხვდით პრიზიორთა შორის.**

— არა, მთლად ასეც არ ყოფილა. მაშინ კონტინენტის პირველობამდე ბათუმურ შეკრებაზე ცუდად გავხდი, სიცხე მქონდა. ამან კი მართლაც ამომაგდო ფორმიდან. იმდენი დროც არ იყო, შესაბამის კონდიციას დავბრუნებოდი. ამან შედეგზეც იქონია გავლენა. ისე კი დიდი შეცდომა იყო, სტამბოლში რომ გავემგზავრე. ამას აჯობებდა, შინ დავრჩენილიყავი და მოვმჯობინებულიყავი.

**— პატრაში რის იმედით ჩახვედით, როგორ შედეგს ვარაუდობდით?**

— საბერძნეთში მე, ჩემი მწვრთნელი და, რა თქმა უნდა, უფროსი მწვრთნელი ოქროს მედალს ვგეგმავდით, რადგან სამი სრულყოფილი შეკრება გავიარეთ. ფაქტობრივად, ისეთ ფორმაში ვიყავი, როგორც სიდნეის ოლიმპიადამდე. ამიტომაც იყო შანსი, რომ ჩემპიონობას მოვიპოვებდი. მით უმეტეს, ოლიმპიური ბრინჯაოს მერე ამის დიდი სურვილი მქონდა. განა ვერცხლის მოპოვება იქნებოდა ურიგო, მაგრამ ისეთ ჯარისკაცს რა ვუთხარი, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობს. ჩემს შემთხვევაშიც ასე გახლდათ.

**— რომელ შეხვედრას გამოარჩევდით, ვისთან გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?**

— ალბათ, ყველაზე მეტად ფინალში გამიჭირდა. ფინალი მაინც ფინალია, სადაც სუსტი მეტოქე არ არსებობს, მით უმეტეს, თუ მოწინააღმდეგე ისეთი გყავს, როგორიც სიდნეის თამაშების ვერცხლის პრიზიორი ამერიკელი მეტ ლინდლანდია. ყველა ფინალს თავისებური ფსიქოლოგიური ზეწოლა ახლავს, რადგან ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯია. წარუმატებლობის შემთხვევაში თავს ბევრად უფრო დათრგუნულად გრძნობ. ამიტომაც ასეთი შანსის გამოყენებას ყველა ცდილობს. საკმაოდ რთული ბრძოლა გადამხდა მესამე შეხვედრაშიც, როდესაც ძლიერ და გამოცდილ შვედ მარტინ ლინდბერგს გადავეყარე. იგი 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში თურქ ჰამზა ერლიქაიასთან ერთად ერთ-ერთი ძლიერი ფალავანია. შვედთან ჭიდილი იოლი არ არის, თუმც, მოგეხსენებათ, ლინდბერგს 3:2 მოვუგე.

**— ბოლოს როდის ირწმუნეთ, რომ ჩემპიონობა შორს არ იყო?**

— შვედი ფალავნის დამარცხების მერე 80 პროცენტით ვირწმუნე ჩემი ჩემპიონობა.

**— რატომაა, რომ თქვენს მეტოქეებს ყოველთვის მცირე უპირატესობით უგებთ? თითქოს ერთგვარი ხელწერაც კი ჩამოგიყალიბდათ...**

— საქმე ისაა, რომ მე ილეთების ისეთი კასკადი არა მაქვს, როგორიც ჩაჩუასა და მელელაშვილს. ამიტომაც, როგორც კი ერთ ქულას მოვიპოვებ, ვცდილობ, იგი ბოლომდე შევინარჩუნო.

**— ეს ერთგვარი დაცვითი ტაქტიკა ხომ არ არის?**

— არა. ეს დაცვითი კი არა, ასე ვთქვათ, შემაწუხებელი ტაქტიკა უფროა.

**— ტელევიზორში ვნახეთ თქვენი გამარჯვებით გახარებული გულშემატკივრები, მაგრამ რა ხდებოდა კულისებს მიღმა?**

— ეს მართლაც კარგი სანახაობა იყო. დარბაზში მყოფი თითქმის ყველა გულშემატკივარი სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა. არცაა გასაკვირი. რა ხანია, პირველი ადგილისთვის საქართველოს დროშა არ აღმართულა და ჩვენი ქვეყნის ჰიმნი არ აჟღერებულა. პირადად მე იმ დღეს ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა.

**— ახლა, როდესაც ოლიმპიური თამაშების სამშობლოში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვეთ, ათენის ოლიმპიადისთვის რას აპირებთ?**

— ვნახოთ, რა როგორ იქნება. მე და ჩემი მწვრთნელი ამის თაობაზე დავსხდებით და მომავლის გეგმებს დავსახავთ. თუმც ერთი რამ ფაქტია, ათენის ოლიმპიადისთვის გაცილებით უკეთ მოვემზადები, ვიდრე, ვთქვათ, ეს სიდნეისთვის ან თუნდაც ახლანდელი მსოფლიოს პირველობისთვის გავაკეთე.

**— წლების განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონი სანატრელი გვყავდა, წლეულს კი ერთბაშად ორმა სპორტსმენმა აგვისრულა ოცნება. თქვენი აზრით, ვინ იქნება საქართველოს წლევანდელი საუკეთესო სპორტსმენი?**

— უდავოა, რომ საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენის წოდება გიორგი ასანიძეს ეკუთვნის. იგი ... ერესი და ძლიერი სპორტსმენია. და აქვე მინდა, მას, როგორც ჩემს ახლო და საყვარელ მეგობარს, მსოფლიოს ჩემპიონობა მივულოცო. გიორგის ნამდვილად შესწევს უნარი, რომ ათენში ჩემპიონობითაც გაგვახაროს.

**— როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად ვის გაუხარდა თქვენი მსოფლიოს ჩემპიონობა?**

— როგორ გითხრათ. არავის გამოყოფა არ შეიძლება. ჩვენ, მოჭიდავეებს ერთი დიდი ოჯახი გვაქვს. დევიზიც ასეთია — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. დღეს თითოეული მათგანი გახარებულია ჩემი წარმატებით. ერთხანს შემეშინდა კიდეც, ჩემს მწვრთნელ ჯონი რეხვიაშვილს სიხარულისგან გული არ გაუსკდეს-მეთქი. იგივე ითქმის გუნდის მწვრთნელ ბეგი დარჩიაზეც. არ შეიძლება, არ ვახსენო მწვრთნელი ოთარ ტატიშვილიც, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს მომზადებაში. მადლობის მეტი რა მეთქმის ჩვენი ექიმის, გოგი ჭუმბურიძის მიმართაც. აქვე მინდა აღვნიშნო მძიმეწონოსანი გიორგი წურწუმია. იგი ავგაროზივით სულ გვერდზე მყავდა. ყოველი ორთაბრძოლის წინ გიორგი შემახურებდა და გუნება-განწყობას გამომიკეთებდა-ხოლმე. ერთი სიტყვით, ყველას მადლობა. ისე, რომ არა ჩემი მწვრთნელი, ვინ იცის, ეგებ დიდი ხნის მიტოვებულიც მქონოდა ჭიდაობა. მოხარული ვარ, რომ ბატონ ჯონის შრომა დაუფასდა. ჩემი აზრით,, იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოსთვის ბოლო მსოფლიოს უმაღლესი ტიტულის მომპოვებელი გურამ გედეხაური ხომ მისი აღზრდილია. ახლანდელი თაობიდან კი წლეულს მისი გარჯა ევროპის ჩემპიონატზე ალექსანდრე დოხტურიშვილმაც დააფასა. რომ აღარაფერი ვთქვათ ჩემზე.

**— თქვენი ყველაზე ბედნიერი დღე?**

— ჩემს ცხოვრებაში ოთხი ბედნიერი დღე მქონდა. პირველად ეს მაშინ შევიგრძენი, როდესაც დავქორწინდი. მეორედ, ვაჟი რომ შემეძინა, გიორგი, მესამედ ეს მარიამმა მაგრძნობინა, მეოთხედ ბედნიერება სიდნეიში მეწვია, როდესაც ოლიმპიადის პრიზიორი გავხდი. ახლა კი ეს რიცხვი ხუთამდე გაიზარდა. თუ რატომ, ამას დიდი გამოცნობა არ სჭირდება.

**გიგა გურასპიშვილი**



ეს კაცი რომ არა... მუხრან ვახტანგაძეს ჯონი რეხვიაშვილი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიაჩნია და არც გიემტყუნება



ამიერიდან მუხრან ვახტანგაძეს ყველა მეტოქე განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდება



# ალი

ლონდონში მაიკლ მენის ახალი ფილმის პრეზენტაცია მოეწყო. ფილმს „ალი“ ჰქვია და მუჰამედ ალის ცხოვრებაზეა. მთავარ როლს ამერიკელი უილ სმიტი ასრულებს. პრეზენტაციაზე კი, ბუნებრივია, მთელი ბრიტანული საკრივო და არა მხოლოდ საკრივო ბომონდი გახლდათ დაპატიჟებული. რეჟისორსა და მთავარ მსახიობს თვით პრინცი ჩარლზი გაესაუბრა. სტუმართაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალის ძველი მეტოქე, ცალთვალა ბატონი ჰენრი კუპერი. თავად უილ სმიტსაც ბევრი პოზიორობა დასჭირდა.





REUTERS ლონდონიდან



ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი მოსკოვი (რუსეთი)

# რუსულ ოცნებას ნისლი მოსხდა

**მოსკოვში** მასპინძლებისთვის ფრიად სასურველად დაწყებული ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს ჩემპიონატი სხვაგვარად გაგრძელდა. ალექსანდრა კოსტენიუკმა ჩინელ ჩენ ჟუს ქალთა ფინალის პირველი პარტია რომ მოუგო, მერე ზედიზედ ორჯერ დამარცხდა.

ჩინელის ბანაკმა წაგებიდან დასკვნები გამოიტანა და, ეტყობა, შეძლო რუსი თინეიჯერის სადებიუტო რეპერტუარში ხვრელების პოვნა. ლაზიერის გამბიტში ჟუმ პაიკი გასწირა, მერე კი ფიგურათა მოქნილი გადაადგილებებით კარგი წინაპირობა შექმნა შავ მეფეზე იერიშისთვის. 34-ე სვლამდე ძირითადად პაიკები იცვლებოდა, ამიტომ პოზიციამ თანდათან დინამიური სახე მიიღო, ცოტა პაიკით დ ბევრი ფიგურით. ინიციატივას ჟუ ფლობდა. ერთი შავი ფიგურა ცენტრში გაიჭედა და მცირე ხანში ჩინელმა იგი მიასიკვდილა, რის შემდეგაც პარტია მოგებული ჰქონდა. კოსტენიუკმა 46-ე სვლამდე მხოლოდ ფორმალური წინაალმდეგობა გაუწია.

მე-3 პარტიაში 17 წლის კოსტენიუკმა ვერაფრით ისარგებლა თეთრი ფიგურებით, წამოიწყო მოუმზადებელი შეტევა და ჩინელმა იგი ერთი ზალპით ჩაფუშა. ტყუილად ნერვიულობდა ჟუს არაბი ბოიფრენდი მუჰამედ ალ მოდიაყი, რომელსაც ყატარის ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადებზე წარმატებული თამაშით ვიცნობთ. და პირიქით, საფუძვლიანი იყო კოსტენიუკის ერთობ მრავალი ქომაგის (ავიაციის პოლკოვნიკ მამამისის ხელმძღვანელობით) განცდები: მათი გოგო სიცილიური დაცვის ნაიდორფის ვარიანტში შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და „მალე დაინგრა მისი ცენტრი, ფლანგებმაც უკან დაიხიეს“ — წერს რუსი კომენტატორი. კოსტენიუკმა 26-ე სვლით გაიბრძოლა, როცა პაიკი გაწირა თავისი მეფის ცენტრში გასახიზნად (იქ მეტი სიმყუდროვე იყო), მაგრამ ჩინელს ყურიც არ შეუბერტყავს, მსხვერპლი არ მიიღო და მორიგი სვლით თეთრების მცდელობა უმალ ალკვეთა. მერე კი პარტია იოლად მოიგო.

ვიშვანათან ანანდს იმ დღეს 32 წელი შეუსრულდა, მიართვეს დიდი თაიგული (დიდოსტატ იური ავერბახის ხელით, რომელიც ჩემპიონატის მთავარი მსაჯი გახლავთ), დაარიგა ულევად ავტოგრაფები და ინტერვიუები, მერე კი დასასვენებლად წავიდა: ვასილი ივანჩუკთან ნახევარფინალური მატჩის მე-4 პარტიაში თეთრები ეყოლება და საქმის მომთავრება უნდა სცადოს. თუ არა და ლატარიის მაგვარი ბლიცები ელის და იქ ვინ იცის...

პირველი სამი პარტია ინდუსმა და უკრაინელმა ყაიმით დაასრულეს. ივანჩუკი ორჯერ ეცადა, მეტოქის ფრანგული დაცვა რუბინშტეინის ვარიანტში გაეჭრა, მაგრამ ამაოდ. ერთხელ ვერც ვიშიმ ისარგებლა თეთრი ფერით. სამაგიეროდ, საწყისი ორი ყაიმის შემდეგ რუსლან პონომარიოვმა პიოტრ სვიდლერს შავებით მოუგო და ფინალში სენსაციურად გასვლის ძალიან ზორბა შანსი აქვს.

სვიდლერი გაწბილებული ჩანდა. „თავი აღარ მიმუშავებს“ — შენიშნა აპათიურად, რაც ბუნებრივია: ამ მოჭადრაკემ 15 დღეში უკვე 23-ე პარტია ითამაშა. უკრაინელი ყმაწვილი რუსულ პარტიაში ხარისხს შეელია და კარგი შეტევა ააწყო. შემდეგ მატერიალური თანაფარდობა აღდგა და მალე პირიქით, პონომორიოვს დარჩა ერთით მეტი პაიკი. მისი ლაზიერი თეთრი ეტლების წინააღმდეგ — ეს გახლდათ ენდშპილის სახე, რომელიც პონომარიოვმა უნაკლოდ ჩაატარა. უკრაინელის ერთი გამსვლელი პაიკი მალე ორად გარდაიქმნა და სვიდლერმა 44-ე სვლაზე შემდგომი სისხლისღვრის უაზრობა სცნო. არა, არ იყო ის დღე რუსების...

**დავით გულუა**





ჩენ ჟუმ (მარცხნივ) ალექსანდრა კოსტენიუკი და სხვა რუსები დედამიწაზე ჩამოიყვანა

**ვაჟები**

ნახევარფინალი

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 1,5-1,5;
რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) 2-1

**ქალები**

ჩენ ჟუ (ჩინეთი) — ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) 2-1





რუსლან პონომარიოვი და მისი პარტია



მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

# ქალები ჯერ წყნარად არიან

**იტალიაში** მიმდინარე ქალ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გადამწყვეტი შეხვედრები დაიწყო. გათამაშებას შემორჩენილმა 16-მა გუნდმა ბრძოლა პლეი ოფის წესით განაგრძო. ჯერჯერობით მოულოდნელი არაფერი მომხდარა — ყველა რეიტინგით უფრო მაღლა მდგომმა წარმატებას მიაღწია.

გამორჩეულად დიდი უპირატესობით იუგოსლაველმა და დანიელმა ხელბურთელებმა გაიმარჯვეს. იუგებმა ბრაზილიელებს ტაიმი უზარმაზარი სხვაობით (22:9) მოუგეს და შესვენების შე ვეგ სათადარიგო მოთამაშეებსაც მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. იუგოსლაველთა ლიდერმა მაია სავიჩმა ათი გოლი მიითვალა. უფრო მეტად დააწიოკა ესპანელ მეტოქეთა დაცვა ფრანგმა ლეილა ლეჟენემ — მისი 14 ტყორცნა შედეგიანი იყო. წაგებულთაგან ცხრა გოლით საუკეთესო ექსრუსი ნატალია მორსკოვა იყო.

ყველაზე მეტად შარშანდელი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ უნგრეთს გაუჭირდა. ტანმორჩილმა, თუმცა ვერცხლისწყალივით მოძრავმა ჩინელებმა პირველი ტაიმის მოგებით (13:11) მოწინააღმდეგეს დიდი თავსატეხი გაუჩინეს და სულ მცირე, ფრეს მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ კლასმა და გამოცდილებამ ბოლოს თავისი გაიტანა. ვიცეჩემპიონთა წარმატებაში უმთავრესი როლი მათი ტანმაღალი მეგოლის აგნეშ ფარკაშის შედეგიანობამ (6) ითამაშა.

| მერვედფინალი | | |
|---|---|---|
| ავსტრია | 26:21 | სლოვენია |
| დანია | 30:18 | ანგოლა |
| რუსეთი | 24:19 | იტალია |
| უნგრეთი | 24:23 | ჩინეთი |
| იუგოსლავია | 38:22 | ბრაზილია |
| ნორვეგია | 29:25 | კორეა |
| შვედეთი | 23:21 | ჰოლანდია |
| საფრანგეთი | 32:25 | ესპანეთი |

მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: *დანია — ავსტრია, რუსეთი — უნგრეთი, იუგოსლავია — შვედეთი და საფრანგეთი — ნორვეგია.*



საფრანგეთი — ესპანეთი. ფრანგმა რაფაელა ტერველმა კაცურად ტყორცნა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
**კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები** მაია აზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge